2009 წელი, 26 თებერვალი – 4 მარტი

ფასი 90 თეთრი

ახალი განათლება

№7 (441) გამოდის 1998 წლიდან

წითელი არმიის შემოსვლა თბილისში

გაკვეთილი ბიოლოგიაში
გვერდი 7

მოკლევადიანი სასწავლო პროცესის დაგეგმვა მათემატიკაში
გვერდი 8

მიზანი, რომელიც რეალობად აქცევს შესაძლებლობას
გვერდი 11

საქართველოს 1921 წლის ოკუპაცია

საგანმანათლებლო კვირეული

ნიკა გვარამია

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის – **ნიკა გვარამიას** ინიციატივით, სკოლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქართველოს 1921 წლის ოკუპაციის თემას საგანმანათლებლო კვირეული და ლიტერატურული აქცია მიეძღვნა.

კვირეულის ფარგლებში, 18-დან 25 თებერვლის ჩათვლით, ყველა საჯარო თუ კერძო სკოლაში, საბჭოთა არმიის მიერ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ოკუპაციის ფაქტთან დაკავშირებით, გაიმართა სასკოლო ღონისძიებები: გამოფენები, დისკუსიები, ლიტერატურული აქციები, ღია გაკვეთილები და სხვ.

გარდა ამისა, ისტორიკოსებმა, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებმა, ისტორიის პედაგოგებმა, საზოგადო მოღვაწეებმა ღია გაკვეთილები ჩაატარეს. კვირეულში ჩაერთვნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც საჯარო ლექციები გაიმართა როგორც მოსწავლეთათვის, ასევე სტუდენტებისთვის.

24-25 თებერვალს ჩატარდა ორდღიანი ლიტერატურული აქცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო IX-XII კლასების 50-მა მოსწავლემ საქართველოს ყველა რეგიონიდან. მათთვის, 24 თებერვალს, მოეწყო ექსკურსია ოკუპაციის მუზეუმში, საჯარო ლექცია და ლიტერატურული მასტერკლასი; 25 თებერვალს კი პირველ საჯარო სკოლაში – ლიტერატურული აქცია, რომლის ფარგლებში მოსწავლეებმა ოკუპაციის თემაზე ორიგინალური ნაწარმოებები შექმნეს.

სამინისტრო საუკეთესო ნაშრომებს კრებულად გამოსცემს, ლიტერატურული აქციის მონაწილე მოსწავლეები კი მინისტრმა სერტიფიკატებითა და პორტატული კომპიუტერებით დააჯილდოვა.

ერთი თვის ვადაში გამოვლინდება საგანმანათლებლო კვირეულში მონაწილე ყველაზე აქტიური ოცი სკოლა.

ნიკა გვარამია: *„კვირეული, ვფიქრობ, წარმატებულად ჩატარდა. უკლებლივ ყველა საჯარო თუ კერძო სკოლაში თითო აქტივობა მაინც გამოვლინდა. ყველა ბავშვმა იმაზე მეტი გაიგო რუსული ოკუპაციის შესახებ, ვიდრე ამას ჩვეულებრივ ვითარებაში შეიტყობდა. ეს, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია. კვირეულის მონაწილე წარმატებული ოცი სკოლა გამოვლინდება და აუცილებლად დავაჯილდოვებთ. საქართველოს 1921 წლის ოკუპაციის თემისადმი მიძღვნილი საგანმანათლებლო კვირეულის კულმინაცია იყო ლიტერატურული აქცია, რომელიც გუშინ დაიწყო. 50-მა ბავშვმა ამ თემაზე პროზაული ნაწარმოები შექმნა. მათი ნამუშევრები აუცილებლად წიგნად გამოიცემა და ეს იქნება საინტერესო საკითხავი წიგნი, რომელიც შთამომავლობას დარჩება. ამ ტრადიციას აუცილებლად გავაგრძელებთ“.*

მაკა ყიფშიანი

აირჩიეთ, სად ისწავლით

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის საზღვაო აკადემია

საზღვაო განათლება საქართველოში

არსებობის ხანმოკლე ისტორიის მიუხედავად ბათუმის საზღვაო აკადემია დიდი ტრადიციების მქონე უმაღლესი სასწავლებელია. 1929 წელს ბათუმში საზღვაო ტექნიკუმი დაარსდა, რომლის ბაზაზეც, 1944 წლის 5 მარტს, სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით, შეიქმნა ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელი.

ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელმა არსებობის ნახევარსაუკუნოვან პერიოდში უდიდესი როლი შეასრულა საზღვაო საქმის განვითარებაში, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოეთში. სასწავლებელმა 5 ათასზე მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მოამზადა საზღვაო ფლოტში სამუშაოდ, კურსდამთავრებულები დღესაც წარმატებით მოღვაწეობენ საქართველოსა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საზღვაო ფლოტში.

ამ დიდი ტრადიციების მქონე ავტორიტეტული სასწავლებლის ბაზაზე, ჩვენი ქვეყნის ისტორიის ურთულეს პერიოდში, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, 1992 წელს დაარსდა ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებელი, რომელსაც შემდგომში, ასევე საქართველოს მთავრობის 1994 წლის გადაწყვეტილებით, დაერქვა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, ხოლო საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 აპრილის №79 დადგენილების საფუძველზე, მიიღო დღევანდელი სტატუსი **„საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბათუმის საზღვაო აკადემია“**

რას გვთავაზობს ბათუმის საზღვაო აკადემია

ბათუმის საზღვაო აკადემია სტუდენტებს სთავაზობს განათლებას **გემბანზე საზღვაოსნო ოპერაციებისა და გემის მართვის დარგში, საექსპედიტორო საქმეში, მულტიმოდალური ტრანსპორტირებისა და ლოგისტიკის დარგში, სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაციისა** და **მართვის დარგში**. კურსდამთავრებულებმა შეიძლება დაიკავონ სამეთაურო თანამდებობები შორეული ნაოსნობის სავაჭრო გემების ეკიპაჟებში, ნაპირზე არსებულ **საზღვაო საკრუინგო** კომპანიებსა და სხვა სატრანსპორტო სამსახურებში, პორტებსა და ტერმინალებში. საზღვაო აკადემია საბაზო, განათლებასთან ერთად, ახორციელებს კვლევით სამუშაოებს, განავითარებს და წყვეტს სპეციალურ დავალებებს ეროვნულ და საერთაშორისო საზღვაოსნო საქმიანობაში.

აკადემია ხელს უწყობს ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა საზღვაო პროფილის საწარმოებს, ამავე დროს დახმარებასაც იღებს მათგან. მისი მდებარეობა ბათუმისა და ფოთის პორტების, ასევე სუფსის ტერმინალის სიახლოვეს შემთხვევითი არ არის. აკადემია აქტიურად იყენებს მათ შესაძლებლობებს სტუდენტთა მაღალი პროფესიული განათლების უზრუნველსაყოფად და, ამავე დროს, უზრუნველყოფს მათ მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით.

საზღვაო აკადემიის ადმინისტრაცია ცდილობს შექმნას სტუდენტის წარმატებისთვის საჭირო სოციალური გარემო. სტუდენტის მთავარი ინტერესი არა მხოლოდ ისეთი საგანმანათლებლო პროგრამაა, რომელიც მას დასაქმებაში და მომავალი წარმატებული კარიერის შექმნაში დაეხმარება, არამედ იგი დაინტერესებულია გამართული სასწავლო და საცხოვრებელი პირობებით.

კულტურისა და სპორტის სექტორი

საზღვაო აკადემიაში ფუნქციონირებს კულტურისა და სპორტის სექტორი, სადაც შემოქმედებით ჯგუფებსა და სპორტულ სექციებში სტუდენტებს საშუალება აქვთ განავითარონ საკუთარი სპორტული, ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარები.

სტუდენტს უფლება აქვს საკუთარი სურვილით გაერთიანდეს ზემოთ ჩამოთვლილ შემოქმედებით ჯგუფებში ან/და სპორტულ სექციაში, რისთვისაც წერილობით უნდა მიმართოს კულტურისა და სპორტის სექტორის ხელმძღვანელობას.

რას წარმოადგენს ბათუმის საზღვაო აკადემია

ბათუმის საზღვაო აკადემია სპეციფიკური ტიპის უმაღლესი სასწავლებელია, რაც იმაში გამოიხატება, რომ საზღვაო ტრანსპორტის და მასთან დაკავშირებული ყველა სამსახურის საქმიანობა რეგულირდება არა მხოლოდ ნაციონალური კანონმდებლობით არამედ საერთაშორისო ნორმებითაც. საზღვაო ტრანსპორტის დარგში საერთაშორისო კანონმდებლობის სათავო ორგანიზაციას წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO), ხოლო საერთაშორისო ნორმებთან კოორდინაციის საკითხებს აგვარებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის, საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტი. IMO-ს ძირითად საკანონმდებლო დოკუმენტს წარმოადგენს საზღვაო კონვენცია (STCW 78/95). საქართველო 1993 წელს შეუერთდა ამ კონვენციას, რითაც აიღო ვალდებულება მეზღვაურთა მომზადების პროცესის სრულ თავსებადობაზე საერთაშორისო სტანდარტებთან.

საზღვაო აკადემიის კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის მაღალი პროცენტი (გემთწამყვანების – 88%, გემთმექანიკოსების – 70%) საქართველოს საზღვაო განათლების მაღალი დონის მაჩვენებელია.

კადრების მომზადება საზღვაო აკადემიაში წარმოებს ორ ფაკულტეტზე: **წმინდა საზღვაო (საზღვაო გემებზე დასასაქმებლად) ე.წ. კონვენციური სპეციალობებით კადრებს ამზადებს საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტი**, ხოლო **არაკონვენციური, სახმელეთო კადრები მზადდებიან ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე**. სწავლება ყველა სპეციალობაზე მიმდინარეობს ქართულ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სწავლების ორგანიზება რუსულ და ინგლისურ ენებზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2006 წელს ბათუმის საზღვაო აკადემია გაერთიანდა საერთაშორისო საზღვაო უნივერსიტეტების ასოციაციაში (IAMU), რომლის მიზანია საზღვაო პროფილის უმაღლეს სასწავლებლებზე ქმედითი მეთოდური და აკადემიური დახმარების გაწევა მაღალი კვალიფიკაციის საზღვაო სპეციალისტების მომზადების საქმეში.

საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება კადრების მომზადების საქმეში ხორციელდება საზღვაო აკადემიის მჭიდრო თანამშრომლობით საზღვაო სწავლების ისეთ ავტორიტეტულ ცენტრებთან, როგორებიცაა ოდესის ნაციონალური საზღვაო აკადემია (ONMA), ესტონეთის საზღვაო აკადემია (EMA), აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (AGMA), სანქტ პეტერბურგის ადმირალ მაკაროვის სახელობის საზღვაო აკადემია (AMSMA), სტამბულის ტექნიკური უნივერსიტეტის საზღვაო ფაკულტეტი (ITU MF), მალმეს მსოფლიო საზღვაო უნივერსიტეტი (WMU) და სხვ.

უკვე 8 წელია, საზღვაო აკადემიაში დანერგილია და წარმატებით ფუნქციონირებს ხარისხის მართვის საერთაშორისო სისტემა ISO 9001:2000, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილია აკადემიაში საქმეთა წარმოების და სასწავლო პროცესის თანადობა IMO-ს ძირითად მოთხოვნებთან საზღვაო სპეციალისტების მომზადების საკითხში, რისი დასტურიცაა საზღვაო აკადემიაზე, საერთაშორისო აუდიტის საფუძველზე, ხარისხის მართვის შესაბამისობის ISO 9001:2000-ისა და IQNet-ის საერთაშორისო სერტიფიკატების გადაცემა. **ქართველ მეზღვაურთა დიპლომი აღიარებულია საერთაშორისო სარბიელზე**.

საგანმანათლებლო ბაზა და საშუალებები

საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტი აკადემიაში ფუნქციონირებს 2006 წლიდან. ის ჩამოყალიბდა მანამდე არსებული ორი ფაკულტეტის – გემთწამყვანი და გემთმექანიკური რეორგანიზაციისა და შერწყმის შედეგად. თავის მხრივ, გემთწამყვანი და გემთმექანიკური ფაკულტეტები დაფუძნდა 1992 წელს.

საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტზე მზადდებიან საზღვაო სპეციალისტები სამი საბაკალავრო პროგრამით (240 ECTS კრედიტი): **გემთწამყვანი, გემთმექანიკური და გემის ელექტრომექანიკური** სპეციალობებით და **ორი პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით** (180 ECTS კრედიტი), სპეციალობებით: **საზღვაო ნავიგაცია** და **გემის მექანიკოსი**. ყოველ წელიწადს ფაკულტეტი, საშუალოდ, უშვებს 120-მდე საინჟინრო მეცნიერებათა ბაკალავრს – შორეული ნაოსნობის შტურმანს, გემთმექანიკოსს და გემის ელექტრომექანიკოსს, ხოლო 2010 წლიდან მათ დაემატება, დაახლოებით, 60-70-მდე დიპლომირებული სპეციალისტი **გემთწამყვანი** და **გემთმექანიკოსი**.

საგანმანათლებლო პროგრამები ისეა შედგენილი, რომ გარდა სპეციალიზაციისა სტუდენტები იღებენ საბაზო ტექნიკურ განათლებას და სპეციალურ ცოდნას ინგლისურ ენაში, რომელიც საერთაშორისო საზღვაო ენასა და IMO-ს მიერ აღიარებულია ძირითად სამუშაო საზღვაო ენად.

სწავლება ფაკულტეტზე მიმდინარეობს როგორც კლასიკურ, ასევე უახლეს ტრენაჟორულ და კომპიუტერული ტექნიკის ბაზაზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენებით.

გემთწამყვანი სპეციალობის სტუდენტები გადიან პრაქტიკულ მომზადებას გემის ხიდურას ოპტიკურ სიმულატორზე, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის გემის მანევრირების განხორციელება მსოფლიოს ყველა ოკეანეში, სხვადასხვა კლიმატურ, მაგრამ უსაფრთხო მოდელის პირობებში.

გემთმექანიკური და **გემის ელექტრომექანიკური** სპეციალობის სტუდენტები იღებენ საფუძვლიან თეორიულ განათლებას გემების აგებულებისა და გემებზე დამონტაჟებული ძალური ენერგეტიკული დანადგარების შესახებ, ელექტრომექანიკოსები დამატებით ითვისებენ გემების ელექტრომოწყობილობების მართვის უნარ-ჩვევებს. მაღალი ტექნოლოგიების და სამანქანო განყოფილების ტრენაჟერის გამოყენებით, სტუდენტები სწავლობენ ძრავების ტექნიკური გაუმართაობის აღმოფხვრას და რთული დაზიანებების შეკეთებას.

სწავლის პერიოდში **საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტებს** ეძლევათ საშუალება გაიარონ საცურაო პრაქტიკა საოკეანო სავაჭრო გემებზე, საერთაშორისო საზღვაო კონვენციის (STCW 78/95) მოთხოვნების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს, რომელსაც გავლილი აქვს პრაქტიკა საოკეანოსავაჭრო გემზე და კარიერის გაგრძელება სურს ფლოტში, უფლება აქვს, ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა და მიმართოს საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტს შესაბამისი წოდებისა და სამუშაო დიპლომის მისაღებად.

ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი 1996 წელს გაიხსნა (2006 წლამდე მისი სახელწოდება იყო ტრანსპორტის მენეჯმენტის ფაკულტეტი). მისი ფუნქციონირების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს კადრების მომზადება ფლოტის, საზღვაო ნავსადგურებისა და ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის მართვისათვის. ფაკულტეტი ყოველ წელს 60-მდე კურსდამთავრებულს უშვებს სპეციალობებით: **საზღვაო გადაზიდვები და სატრანსპორტო ლოგისტიკა** და **ნავსადგურის მენეჯმენტი**.

აღნიშნული სპეციალობების სასწავლო პროგრამები შედგენილია საერთაშორისო სატრანსპორტო მოთხოვნების შესაბამისად და ამავე დროს ორიენტირებულია ჩვენი ქვეყნის სატრანსპორტო და საპორტო ინფრასტრუქტურაზე. სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გადიან საქართველოში არსებულ სატრანსპორტო კომპანიებში, სატრანსპორტო ტერმინალებში და ნავსადგურებში.

2007-2008 სასწავლო წლიდან ფაკულტეტი ამზადებს ბიზნესის მართვის მაგისტრებს 4 სამაგისტრო პროგრამით.

ორივე ფაკულტეტის კურსდამთავრებულები, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მოპოვების საფუძველზე, იღებენ შესაბამის დიპლომსა და დიპლომის დანართს UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის მიხედვით;

წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი შეიქმნა 2007 წელს, მას შემდეგ, რაც განათლების სამინისტროს მიერ გამოყოფილი მიზნობრივი გრანტით შეძენილ იქნა თანამედროვე სიმულაციური ტრენაჟერი ტრანზასის (**TRANSAS Set the Standard**) მსოფლიოში ცნობილი ფირმისაგან. ეს სიმულატორებია: **გემის ინტეგრირებული ნავიგაციური ტრენაჟერი Navi-Trainer Professional, სამანქანო განყოფილების ტრენაჟერი Engine Room Simulator ERS** და **უბედურების თავიდან აცილებისა და უსაფრთხოების უზღუნველყოფის საზღვაო გლობალური კავშირის სისტემის (GMDSS) ტრენაჟერი.** ამ საშუალებებს დაემატა აკადემიაში უკვე არსებული რეალური სამანქანო დარბაზი, ლითონ-შემდუღებლების მოსამზადებელი საამქრო, ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის ტრენაჟერი, სატაკელაჟო ლაბორატორია და გემის სამაშველო საშუალებების ზღვაზე დაშვების ტრენაჟერი. ცენტრის მიზანია საზღვაო სპეციალისტის პრაქტიკული მომზადებისა და გადამზადების უზრუნველყოფა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად.

სამეცნიერო მუშაობა აკადემიის ორივე ფაკულტეტზე მიმდინარეობს, მაგრამ ამ საქმიანობაში პრიორიტეტი, რა თქმა უნდა, მინიჭებული აქვს საზღვაო თემატიკას. ყოველ წელიწადს, მაისის, დასაწყისში, აკადემიაში ტარდება სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია.

საზღვაო აკადემიაში 2005 წლიდან განხორციელებული სტრუქტურული და პროგრამული რეფორმების მთავარი შედეგია:

- აკრედიტებული, თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც აკმაყოფილებენ შრომის ბაზრისა და ბოლონიის პროცესის ძირითად მოთხოვნებს;
- თანამედროვე ტრენაჟერული ბაზის შექმნა, რომელიც აუცილებელია საზღვაო სპეციალისტების მომზადებისა და გადამზადებისათვის;
- საგანმანათლებლო პროგრამებში სტუდენტის დატვირთვის აღწერა კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) გამოყენებით, რომელიც აუცილებელია სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის (LLL) პრინციპის დამკვიდრებისათვის.

ჩარიცხვა საზღვაო აკადემიაში

საბაკალავრო და პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა, ბათუმის საზღვაო აკადემიაში, ხორციელდება გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად, აკადემიის მიერ დადგენილი რანჟირების სქემის შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვა 2009 წლამდე ხორციელდებოდა საზღვაო აკადემიაში დადგენილი წესით, ხოლო 2009 წლიდან განხორციელდება ერთიანი სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე.

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ჩარიცხვა ხორციელდება მთავრობათაშორისი ხელშეკრულებების და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე.

სტუდენტთა სწავლის საფასურს, ფაკულტეტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, ადგენს საზღვაო აკადემიის წარმომადგენლობითი საბჭო, რომლის ოდენობა და გადახდის გრაფიკი ასახულია სტუდენტთა ხელშეკრულებაში.

თქვენთვის საინტერესო ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ: 6004, ქ. ბათუმი, რუსთაველის 53;
ვებ-გვერდი: WWW.BMA.EDU.GE. ელექტრონული ფოსტა: bma.qps@gmail.com; info@bma.edu.ge, TEL./FAX.: (888222)74850, TEL.: (888222)75388.

ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲗ. ᲡᲐᲓ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲘᲗ

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲖᲔ

- **ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗ, ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ, ᲓᲐᲡᲐᲫᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲘᲗ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲮᲣᲗᲔᲣᲚᲨᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ**
- **ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲡᲔᲠᲢᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲗ, ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ I ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔᲐ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ)**

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ:

- უახლესი ლაბორატორიული ტექნიკით აღჭურვილ უნივერსალურ სასწავლო რესურსებს – საქართველოში ერთადერთ საფანტომო ტრენაჟორულ ცენტრს, კრიმინალისტიკის ლაბორატორიას, სატელევიზიო სტუდიას, ლინგვისტიკის ცენტრს და ა. შ.
- უცხოეთის უნივერსიტეტებთან ერთობლივ პროგრამებს ორმაგი დიპლომისა და ხარისხის მინიჭებით

და კიდევ ...

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ ᲣᲞᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲝ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ ᲬᲐᲛᲐᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲔᲚ ᲞᲐᲙᲔᲢᲔᲑᲡ

- გრანტის მფლობელ სტუდენტებისათვის მოპოვებული გრანტის შესაბამისი ოდენობის გადასახადის დაფარვას ფორმულით **„ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲠᲐᲜᲢᲘ + ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲝ ᲒᲠᲐᲜᲢᲘ“**;
- განსაკუთრებულ ფინანსურ შეღავათებს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახის წევრებისათვის;
- სტიპენდიას სტუდენტებისათვის, სემესტრული სარეიტინგო მონაცემების მიხედვით, 50-დან 200 ლარის ოდენობით (რეიტინგის შესაბამისად);
- ფინანსურ შეღავათებს სტუდენტებისათვის სხვა ცალკეულ შემთხვევაშიც, რაც განიხილება ინდივიდუალურად, როგორც წესი, სტუდენტის სასარგებლოდ.

ᲡᲐᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ:

- სტომატოლოგია;
- ფარმაცია;
- სამართალმცოდნეობა;
- ინგლისური ენა და ლიტერატურა;
- ტელე-რადიოჟურნალისტიკა;
- ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა;
- საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე;
- ტურიზმის მენეჯმენტი;
- მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
- მენეჯმენტისა და ადმინისტრირების ამერიკული პროგრამა;
- ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის გერმანული პროგრამა.

ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ:

- ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის ქართულ-ბრიტანულ-უნგრული პროგრამა;
- ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის ქართულ-ამერიკული პროგრამა.

ᲘᲜᲢᲔᲒᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ:

- ტელე-რადიოჟურნალისტიკის ქართულ-ბრიტანული ინტეგრირებული პროგრამა.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲯᲐᲜᲝ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘᲡ 6. ᲢᲔᲚ.: 38 44 06; 38 56 95 ᲤᲐᲥᲡᲘ: 25 29 81. www.gruni.edu.ge

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲜᲐᲕᲘ�გᲐᲪᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ – ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ **ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ-ᲡᲐᲘᲜᲟᲘᲜᲠᲝ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ**

1. ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

ა) ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲜᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ;

ბ) ᲒᲔᲛᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲓᲒᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲚᲣᲐᲢᲐᲪᲘᲐ.

ᲩᲐᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ მსურველები აბარებენ 4 სავალდებულო გამოცდას (ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ზოგად უნარებში, ერთ-ერთ უცხო ენასა და მათემატიკაში).

ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲐ 4 ᲬᲔᲚᲘ.

კურსდამთავრებულს ენიჭება ინჟინერიის **ბაკალავრის კვალიფიკაცია.**

2. ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

ა) ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲜᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ;

ბ) ᲒᲔᲛᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲓᲒᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲚᲣᲐᲢᲐᲪᲘᲐ.

ᲩᲐᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ მსურველები აბარებენ სავალდებულო გამოცდას ზოგად უნარებში.

ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲐ 3 ᲬᲔᲚᲘ.

კურსდამთავრებულს ენიჭება **დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაცია.**

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘ, ᲨᲔᲛᲓᲔᲗᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲘᲗ:

1. ᲛᲐᲢᲠᲝᲡᲘ;
2. ᲛᲝᲢᲝᲠᲘᲡᲢᲘ;
3. ᲒᲔᲛᲘᲡ ᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲘ;
4. ᲨᲔᲛᲓᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ.

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲝ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐᲐ:

IX კლასის ბაზაზე – 3 წელი;

საშუალო განათლების ბაზაზე – 1 წელი.

ᲛᲔᲝᲠᲐᲓᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲘᲡ ᲓᲐᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ 8-ᲗᲕᲘᲐᲜᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ 22 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ. ᲠᲕᲐᲗᲕᲘᲐᲜ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲖᲔ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲡᲐᲛᲯᲔᲠ.

ᲩᲕᲔᲜ ᲕᲘᲫᲚᲔᲕᲗ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲫᲛᲔᲑᲘᲡ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲡ!

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲜᲐᲕᲘ�გᲐᲪᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ 82% ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲘᲗᲐᲐ ᲓᲐᲡᲐᲫᲛᲔᲑᲣᲚᲘ!!

ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲐᲕᲘ ᲨᲔᲜᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ - ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ!!!

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, ᲛᲐᲮᲘᲜᲯᲐᲣᲠᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲖᲐᲢᲙᲔᲪᲘᲚᲘ №26

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:

(+995) 222 9 25 25; 9 28 28; 9 23 23. 893 44 22 85

ᲕᲔᲑᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.bni.edu.ge

ᲔᲚᲤᲝᲡᲢᲐ: bni@bni.edu.ge

აირჩიეთ, სად ისწავლით

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბიტურიენტთა ცხოვრებაში დღეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია. უნდა შეარჩიონ ის უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც მათ საფუძვლიან განათლებას მისცემს. შემოთავაზება ბევრია, მაგრამ არც ისე იოლია გონივრული არჩევანის გაკეთება. ამიტომაც, საჭიროდ მიგვაჩნია, სრულყოფილი ინფორმაცია მოგაწოდოთ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რათა ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში.

გააკეთე სწორი არჩევანი

ჩვენი აწმყო და მომავალი

დღეს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლება განახლებული პროგრამებით მიმდინარეობს და სამ საფეხურს მოიცავს: ბაკალავრიატს, მაგისტრატურასა და დოქტორანტურას, რასაც წელს დაემატა უმაღლესი პროფესიული განათლების პროგრამა.

თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი იმ უმაღლეს სასწავლებელთაგანია, რომელმაც ორჯერ დაუბრკოლებლად გაიარა ინსტიტუციური აკრედიტაცია. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ცდილობს, სწორი მენეჯმენტის გზით, უნივერსიტეტში დაამკვიდროს ბოლონიის პროცესის მიერ შემოთავაზებული პრინციპები და სტანდარტები. განათლების რეფორმამ ჩვენს უნივერსიტეტში, თავის მხრივ, შეცვალა საგანმანათლებლო პოლიტიკა და სტრატეგია. საუნივერსიტეტო ცხოვრებისათვის მთავარ პრიორიტეტად იქცა ცოდნაზე დაფუძნებული სწავლება; სტუდენტთა მონაწილეობა სწავლისა და სწავლების შეფასებებში. თვითშეფასების მუდმივი მონიტორინგი განსაკუთრებულად ზრდის სწავლების ხარისხს, აუმჯობესებს და მრავალი სიახლის დანერგვის მოტივაციას იძლევა უნივერსიტეტში. სწორედ შეფასებისა თუ კონტროლის ამგვარი მექანიზმები ეხმარება სტუდენტსაც და ლექტორსაც, გააცნობიეროს არსებული ხარვეზები და უკეთესი მომავლის გზები ეძიოს.

დღეისათვის უნივერსიტეტში 6 ფაკულტეტი ფუნქციონირებს: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი, პედაგოგიური და ჯანდაცვის ფაკულტეტები, სადაც 50-მდე პროგრამა ხორციელდება. 30-ზე მეტი კაბინეტ-ლაბორატორია, საუნივერსიტეტო ენციკლოპედია, სოციოლოგიური კვლევის ცენტრი, კომპიუტერული ცენტრი, ინტერნეტში 24-საათიან რეჟიმში ჩართული თანამედროვე ბიბლიოთეკა 200000-მდე წიგნადი ფონდითა და EBSCO-ს მონაცემთა ელექტრონული ბაზა ყველა პირობას ქმნის ხარისხიანი სწავლებისათვის. უნივერსიტეტს მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს. მის განკარგულებაშია ოთხი სასწავლო კორპუსი, საერთო საცხოვრებელი, ღია და დახურული სპორტული მოედნები, საცურაო აუზი, ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი, რომელიც 12 ჰექტარ ფართობზეა განთავსებული.

უნივერსიტეტი, პერიოდულად, გამოსცემს სამეცნიერო შრომების კრებულებს. წელიწადში ორჯერ სტუდენტები მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში, პერიოდულად გამოდის საუნივერსიტეტო გაზეთი, სადაც შუქდება სტუდენტური ცხოვრება. უნივერსიტეტში მოქმედებს სხვადასხვა ქვეყნის კულტურის, ლიტერატურისა და ენის შესწავლის ცენტრები. წარჩინებული სტუდენტები, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, იგზავნებიან საზღვარგარეთ ტრენინგებში მონაწილეობის მისაღებად.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მატერიალურადაც გვერდში უდგას წარჩინებულ თუ სოციალურად დაუცველ სტუდენტებს. გარდა პრეზიდენტის სტიპენდიისა, თავად იძიებს დამატებითი ფინანსების წყაროს, რათა ახალგაზრდების შრომა წაახალისოს და სწავლის მეტი მოტივაცია შესძინოს. დღეს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათეულობით სტუდენტი იღებს უნივერსიტეტის სტიპენდიას და სარგებლობს სწავლის გადასახადის გარკვეული შეღავათებით. ყველა ამ სიკეთით სარგებლობა შეგეძლებათ თქვენც, თუ არჩევანს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტზე გააკეთებთ.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობები

მრავალფეროვანი საერთაშორისი ურთიერთობები განსაკუთრებულად მიმზიდველს ხდის საუნივერსიტეტო ცხოვრებას. დღეს, როცა ევროპული განათლება ასერიგად ფასობს, ბევრი ახალგაზრდისათვის ოცნებაა საზღვარგარეთ ცოდნის შეძენა, თუმცა, დღევანდელი გადასახედიდან არც ისე იოლია ამ ოცნების რეალობად ქცევა. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამის დიდ შანსს იძლევა. ათეულობით სტუდენტმა უკვე შეძლო უცხოური გამოცდილების მიღება და ცოდნის გაღრმავება როგორც ამერიკის, ისე ევროპის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. მიმდინარე ეტაპზე წარმატებით ხორციელდება ოცზე მეტი საერთაშორისო პროექტი, რომელთა შორის საყურადღებოა „ერასმუს მუნდუსისა“ და „ტემპუს-ტასისის“ პროექტები. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ფართომასშტაბიანი პროექტები ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელს დაამშვენებდა.

2006-2007 წლებიდან მოყოლებული ათეულობით მნიშვნელოვან ხელშეკრულებას მოწერა ხელი. ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა გერმანიის ალბერტ ლუდვიგის სახელობის ფრაიბურგის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტთან, ასევე, გერმანიის ჰაილბრონის უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობისა და ინფორმატიკის ფაკულტეტებთან.

ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ტემპუსის პროექტის **„ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემების განვითარება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში“** ასამუშავებლად, ევროპის უნივერსიტეტებთან ერთად, შეიქმნა კონსორციუმი, რომლის წევრები, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად არიან: ჰანის (ნიდერლანდები), გრენობლის (საფრანგეთი), მარბურგის (გერმანია) უნივერსიტეტები და ნიდერლანდების აკადემიური ტრენინგების ასოციაცია. ამავე პროექტით მოხდა სასწავლო პროგრამებისა და სალექციო კურსების თანამედროვე დონეზე შედგენა, აკადემიური პერსონალის გადამზადება, კვლევების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბება, პროექტში მონაწილე უნივერსიტეტების ერთობლივი სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა, უნივერსიტეტის განვითარების ცენტრის შექმნა და სხვ. პროექტით თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ოთხი საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებაა გათვალისწინებული.

„ერასმუს მუნდუსის“ პროექტის (EM ECW Lot 5) ეგიდით, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ევროპაში, გასულ წელს, ათეულობით სტუდენტი გაიგზავნა. ამავე დროს, ლექციების წასაკითხად მოწვეულნი იყვნენ ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ურთიერთობები, რომელიც თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს თესალონიკის (საბერძნეთი) ტექნიკური განათლების ინსტიტუტთან, ანჟერის (საფრანგეთი), რუსის (ბულგარეთი), ტუსიის (იტალია), რეზეკნეს (ლატვია) უმაღლესი განათლების სასწავლებლებთან, ვიანა დო კასტელოს (პორტუგალია) პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან, ჰანს დე ბოშის (ნიდერლანდები) უნივერსიტეტთან და სხვ.

ბიბერახის (გერმანია) უნივერსიტეტის მშენებლობისა და უძრავი ქონების მართვის ინსტიტუტთან ერთად მიმდინარეობს მზადება **„ბიზნესის ორგანიზება და მენეჯმენტის“** კურსის შემოღებისათვის, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება ორმაგი დიპლომი. ასევე ხელშეკრულებებია დადებული განჯისა და სომხეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთან.

ორმხრივი ურთიერთთანამშრომლობაა ოლდენბურგის (გერმანია) სამედიცინო კლინიკასთან.

სამთვიანი კვლევის პროგრამით, DAAD-ის ორგანიზაციის დაფინანსებით, ბონში, რუურის უნივერსიტეტში იმყოფებოდა თესაუ-ს უნივერსიტეტის პროფესორი, ხოლო სამედიცინო ფაკულტეტის 3 სტუდენტი გაიგზავნა ფრაიბურგის უნივერსიტეტში ორთვიან კურსებზე.

მიმდინარე სასწავლო წელს მზადდება პროექტი გერმანიის რელიგიისა და საზოგადოების, სოციალური სამსახურისა და სოციალური მენეჯმენტის საერთაშორისო პროფესიულ უმაღლეს უნივერსიტეტთან ერთობლივი სასწავლო კურსების **„სოციალური სამსახური“** და **„სოციალური მენეჯმენტის“** შემოღებისთვის.

სწავლების ხარისხი ჩვენი მთავარი პრიორიტეტია

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და იტალიის ტუშას უნივერსიტეტს შორის დადებულია ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ერთობლივი პროგრამების შემუშავებას, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაცვლას.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შავი ზღვის საეთაშორისო უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, ამუშავდა ერთობლივი სადოქტორო და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტი უკვე გადის ერთსემესტრიან სასწავლო კურსს ამ უმაღლეს სასწავლებელში.

ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებაა გაფორმებული გოგოლის სახელობის ნეჟინის (უკრაინა) სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

ახლახან, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სტუდენტთა და პროფესორთა მობილობისათვის, ჩატარდა შესარჩევი კონკურსი „ერასმუს მუნდუსის“ პროექტის „EM ECW Lot 5“ II რაუნდის ფარგლებში, რომელიც დაგეგმილია 2009-2011 წლებისთვის.

ყველაფერი ეს ნათელი მაგალითია იმისა, რომ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღიაა ყველა საინტერესო და სასარგებლო შემოთავაზებისათვის.

ბევრმა უკვე გააკეთა სწორი არჩევანი. ახლა, ჯერი თქვენზეა, მომავალო სტუდენტებო. კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს უნივერსიტეტში!

თქვენ ხელთაა EBSCO-ს მონაცემთა ელექტრონული ბაზა და 24-საათიანი ინტერნეტი

მისამართი: თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ.№1; საკონტაქტო ტელეფონები: (8250) 7-24-01, 899 27 66 47; ელფოსტა: info@tesau.edu.ge

აირჩიეთ, სად ისწავლით

ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი

1991 წელს ქუთაისში დაარსდა პირველი კერძო უმაღლესი სასწავლებელი – ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტი, რომლის რექტორად დაინიშნა პროფესორი **ვალერიან ქელბაქიანი**, პრორექტორად – იურისტი **რევაზ ლაღიძე.** 1992 წლიდან, საქართველოს განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, ინსტიტუტს შეეცვალა სტატუსი და ეწოდა ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი.

ამჟამად ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტს ხელმძღვანელობენ ან გარდაცვლილი დამფუძნებლების შვილები: რექტორი, პროფესორი **ლელა ქელბაქიანი** და იურისტი **ლაშა ლაღიძე**.

უნივერსიტეტი მიღებას ახორციელებდა შემდეგ სპეციალობებზე: **სამართალმცოდნეობა, ფინანსები და კრედიტი, წარმოების ეკონომიკა და მართვა, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, რეგიონული ეკონომიკა და მართვა, ოფისის მენეჯმენტი, ინფორმაციული ტექნოლოგიები - უცხო ენა.**

2006-2007 სასწავლო წლიდან, მატერიალური და აკადემიური რესურსების ოპტიმალური და მიზანმიმართული გამოყენების მიზნით, უნივერსიტეტმა პრიორიტეტულ მიმართულებად დაისახა კადრების მომზადება მხოლოდ ეკონომიკურ სპეციალობებში. ამჟამად უნივერსიტეტის **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი** ახორციელებს სამივე საფეხურის აკადემიურ პროგრამებს: **საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს.**

2005 წელს უნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა პირველი ინსტიტუციური აკრედიტაცია. ამ პერიოდისათვის უნივერსიტეტი მთლიანად გადავიდა სწავლებისა და სწავლის ევროპულ სისტემაზე, დაინერგა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS). პირველი ეროვნული გამოცდების შედეგად უნივერსიტეტში ჩარიცხულმა სტუდენტებმა სწავლა ახალი საბაკალავრო პროგრამების მიხედვით დაიწყეს.

2006 წელს უნივერსიტეტმა მეორედაც წარმატებით გაიარა ინსტიტუციური აკრედიტაცია და 2007-2008 სასწავლო წლიდან აკრედიტებულია 5 წლის ვადით.

2007 წლიდან ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი დარეგისტრირებულია მსოფლიოში აკრედიტებული კოლეჯებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო ინტერნეტცნობარში (www.4icu.org), რომელიც მოიცავს სრულ ინფორმაციას 200-ზე მეტ ქვეყანაში არსებული კოლეჯებისა და უნივერსიტეტების შესახებ.

2007 წლის ივნისში, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, უნივერსიტეტში ჩატარდა პირველი კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. კონკურსის შედეგად, უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს წარმართავენ 6 სრული პროფესორი, 15 ასოცირებული პროფესორი და 2 ასისტენტ-პროფესორი.

აკადემიური პერსონალისათვის უნივერსიტეტში, ყოველწლიურად, კონკურსის საფუძველზე გაიცემა შიდასაუნივერსიტეტო გრანტები მათი სამეცნიერო შრომების დასაფინანსებლად. აგრეთვე უნივერსიტეტი გამოყოფს გრანტებს უცხოეთში ბიზნესის მართვის სადოქტორო პროგრამებზე სწავლის მსურველთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად.

უნივერსიტეტის პროფესორები მონაწილეობენ საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში გამართულ კონფერენციებში.

უნივერსიტეტი, ყოველწლიურად, მაისში ატარებს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციებს, რომელთა თეზისები გამოიცემა.

უნივერსიტეტი რეგულარულად გამოსცემს საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალს „ეკონომიკური პროფილი“, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: თანამედროვე პირობებში ეკონომიკური პრობლემების სხვადასხვა რაკურსით გაშუქება, თეორიული და პრაქტიკული პრობლემების კვლევა და შედეგების სამსჯავროზე გამოტანა.

2007 წლიდან უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ეკონომიკური პრობლემების კვლევის სამეცნიერო-ანალიტიკური ცენტრი, რომლის ძირითადი ამოცანებია: უნივერსიტეტის წარმოდგენა სამეცნიერო-კონსულტაციური მიმართულებით და აქედან გამომდინარე სამეცნიერო-კვლევითი, საინფორმაციო-ანალიტიკური და პრაქტიკული შინაარსის საქმიანობის განხორციელება, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში სამეცნიერო-კონსულტაციური მონაწილეობის უზრუნველყოფა და ეტაპობრივი გაღრმავება.

2008 წლის 14 აპრილიდან ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტმა დაიწყო თანამშრომლობა მეხელენის (ბელგია) საუნივერსიტეტო კოლეჯთან ტემპუს-IV საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში. პროექტის სახელწოდებაა **„სასწავლო პროგრამების ინოვაციური რეფორმა როგორც სისტემების გაზრდა-გაფართოება“.**

ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტს ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული სახალხო ბანკთან და სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი“-სთან, რომლებიც ითვალისწინებენ უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების პროფესიული პრაქტიკის გავლას აღნიშნულ ორგანიზაციებში.

2009 წლის თებერვალში განხორციელდა დოქტორანტთა მიღება პირველი უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხურის შემდეგ სადოქტორო **პროგრამებზე: ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე; მაკროეკონომიკა, რეგიონული ეკონომიკა.**

მართალია, **ქსეუ** ახალგაზრდა სასწავლო დაწესებულებაა, მაგრამ მან უკვე დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებს შორის და საქართველოს ახალ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობით მოკრძალებულ ნაბიჯებს დგამს საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებისათვის.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი საუკეთესო დადასტურებაა იმისა, რომ ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი ნამდვილად ახორციელებს საკუთარ მისიას – აღზარდოს კვალიფიციური, ღრმა კომპეტენციების, კრიტიკულ სიტუაციებში ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარისა და მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე ეკონომისტთა ახალი თაობები.

რექტორი, პროფესორი ლელა ქელბაქიანი

ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი აცხადებს საგაზაფხულო მიღებას მაგისტრატურის განყოფილებაზე. საბუთების მიღება იწარმოებს 2009 წლის 18-დან 28 თებერვლამდე.

ქსეუ, 2009-2010 სასწავლო წლისთვის, აცხადებს მიღებას შემდეგ საბაკალავრო პროგრამებზე

ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი 019

მისამართი: ქ. ქუთაისი, ა. წერეთლის ქ. №13

საკონტაქტო ტელეფონები: 8-231-4-23-73, 8-231-4-52-97, 8-231-4-33-14; ფაქსი: 8-231-4-57-72, 8-231-4-24-91
ელ.ფოსტა: info@kscu.edu.ge, ვებ-გვერდი: www.kscu.edu.ge

განსაკუთრებული მოთხოვნები: -

	აკადემიური დასახელება	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	ნაკადში სულ ადგილთა	კონკურსი	I	II	III	IV	V	VI	VII	VII*	VII**	შემოქმედებითი კურსები I	II	III	ფასდაკლებები
						1	2	3	4	5	6	7	7*	7**	8	9	10	
01901	**ეკონომიკისა და ბიზნესის**	ქართ.	240	2250	100	1	4	4	3									2-3-4-1
	საგარანტიო, საბანკო და საგადახდო საქმე; საბუღალტრო აღრიცხვა და ხელფასიანობა; საქმე ბიზნესის ორგანიზაციაში და მართვა.																	

ასოციაცია „ჯუნიორ ეჩივმენტ-საქართველო“ ახალი ფორმატით გთავაზობთ 2009 წლის ტრენინგ-პროგრამებს

1. სკოლის ფსიქოლოგების კვალიფიკაციის ამაღლება. I ეტაპი

დასაწყისი: ჯგუფის შედგენისას, 12 სთ.
პროექტის ხანგრძლივობა: 4 დღე.
ტრენინგზე განიხილება:

- ფსიქოლოგის როლი სკოლის ცხოვრებაში;
- ფსიქოლოგის ურთიერთობა დამრიგებლებთან;
- ურთიერთობისა და ბავშვის ფსიქოლოგიის პრინციპები;
- მეტყველების კულტურა;
- კონფლიქტები და მათი მოგვარების გზები;
- განვითარების თეორიები;
- პროფესიული და სასწავლო გარემო.

ტრენინგს უძღვებიან: მოწვეული ექსპერტი და გამოცდილი ტრენერები.
ფასი: 120 ლარი.
მსმენელებს გადაეცემათ: შესაბამისი მასალები და სერტიფიკატი.
რეგისტრაციის ბოლო ვადა: 13 მარტი, 16 სთ.

2. სკოლის PR

საჯარო სკოლის საინფორმაციო მენეჯერებისათვის და დაინტერესებული პირებისათვის

დასაწყისი: ჯგუფის შედგენისას, 12 სთ.
პროექტის ხანგრძლივობა: 3 დღე, სულ 16 სთ.
ტრენინგზე განიხილება:

- ინფორმაციული მენეჯერის უფლება-მოვალეობები;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის **(PR)** ტექნოლოგია;
- **PR** გეგმის შემუშავება **SOSTAC-SWOT** ანალიზი;
- იმიჯი და სკოლის იმიჯის შექმნა;
- კრიზისული **PR**;
- ინფორმაციის მართვა.

ტრენინგს უძღვებიან: მოწვეული ექსპერტი და ჯუნიორ ეჩივმენტის ტრენერები.
ფასი: 200 ლარი.
მსმენელებს გადაეცემათ: შესაბამისი მასალები და სერტიფიკატი.
რეგისტრაციის ბოლო ვადა: 13 მარტი, 16 სთ.

3. სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილეების გადამზადება

დასაწყისი: ჯგუფის შედგენისას, 12 სთ.
პროექტის ხანგრძლივობა: 4 დღე. ორი შაბათ-კვირა, სულ 16 სთ.
ტრენინგზე განიხილება:

- სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილის ადგილი და როლი სკოლის ცხოვრებაში;
- სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილის უფლება-მოვალეობები, პრაქტიკული მაგალითები;
- მენეჯმენტის არსი;
- საორგანიზაციო ეთიკა;
- თემთან ურთიერთობა;
- მოდელირებული სავარჯიშოები სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილეებისთვის.

ტრენინგს უძღვებიან: მოწვეული ექსპერტები და გამოცდილი ტრენერები.
ფასი: 100 ლარი.
მსმენელებს გადაეცემათ: შესაბამისი მასალები და სერტიფიკატი.
რეგისტრაციის ბოლო ვადა: 13 მარტი, 16 სთ.

4. საქმეთა მმართველების გადამზადება

დასაწყისი: ჯგუფის შედგენისას, 12 სთ.
პროექტის ხანგრძლივობა: 4 დღე. ორი შაბათ-კვირა, სულ 16 სთ.
ტრენინგზე განიხილება:

- საქმეთა მმართველი და ახალი ამოცანები;
- საქმეთა მმართველის უფლება-მოვალეობები, პრაქტიკული მაგალითები;
- საორგანიზაციო ეთიკა;
- თემთან ურთიერთობა;
- მოდელირებული სავარჯიშოები საქმეთა მმართველებისათვის.

ტრენინგს უძღვებიან: მოწვეული ექსპერტები და გამოცდილი ტრენერები.
ფასი: 100 ლარი.
მსმენელებს გადაეცემათ: შესაბამისი მასალები და სერტიფიკატი.
რეგისტრაციის ბოლო ვადა: 13 მარტი, 16 სთ.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

893 10 44 25 – ნინო (ტრენინგების მენეჯერი)

მისამართი: თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6, III სართული, ოთახი №301

(გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი – ალმა მატერი)

ანგარიშსწორება შესაძლებელია როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ასევე გადარიცხვით.
ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია:
„ვი თი ბი ჯორჯია“ ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101666,
საიდენტიფიკაციო კოდი: 204997922,
ანგარიშსწორების ანგარიში: 25203608

ასოციაცია „ჯუნიორ ეჩივმენტ-საქართველო“ ახალი ფორმატით გთავაზობთ 2009 წლის ტრენინგ-პროგრამებს

1. ინკლუზიური სწავლება და აღზრდა (პრობლემები და გადაჭრის გზები)

დასაწყისი: ჯგუფის შედგენისას
პროგრამის ხანგრძლივობა: 5 დღე, სულ 25 საათი
ტრენინგზე განიხილება:

- ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა სასწავლო გარემოში;
- კლასის მართვა და საკლასო ორგანიზაციის მოდელები ინკლუზიური სწავლების შემთხვევაში;
- ბავშვის განვითარების ფაზები და მნიშვნელოვანი ასაკობრივი თავისებურებები;
- განვითარებისა და სწავლის თეორიები;
- ოჯახი და სკოლა როგორც გარემო;
- კონფლიქტი, მისი არსი, გენეზისი და გადაჭრის გზები.

ტრენინგს უძღვებიან: მოწვეული ექსპერტი და გამოცდილი ტრენერები.
ფასი: 120 ლარი
მსმენელებს გადაეცემათ: შესაბამისი მასალა და სერტიფიკატი.
რეგისტრაციის ბოლო ვადა: 20 მარტი, 17 სთ.

2. პედაგოგიკა და პედაგოგიური ფსიქოლოგია

დასაწყისი: ჯგუფის შედგენისას
პროგრამის ხანგრძლივობა: 4 დღე, სულ 19 საათი
ტრენინგზე განიხილება:

- პედაგოგის სტანდარტი და ეროვნული სასწავლო გეგმა;
- მასწავლებლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები;
- სწავლებისა და აღზრდის ძირითადი პრინციპები და მათი განხორციელების გზები;
- ბავშვის განვითარების მნიშვნელოვანი ასაკობრივი თავისებურებები;
- თანამედროვე გაკვეთილის ტიპები;
- განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები.

ტრენინგს უძღვებიან: მოწვეული ექსპერტი და გამოცდილი ტრენერები.
ფასი: 100 ლარი
მსმენელებს გადაეცემათ: შესაბამისი მასალა და სერტიფიკატი.
რეგისტრაციის ბოლო ვადა: 20 მარტი, 17 სთ.

3. პედაგოგთა პროფესიული უნარ-ჩვევები კონცენტრაციით ქართული ენა და ლიტერატურა

დასაწყისი: ჯგუფის შედგენისას
პროგრამის ხანგრძლივობა: 2 დღე, სულ 12 საათი
ტრენინგზე განიხილება:

- ორატორული ხელოვნება – აუდიტორიის მართვის მეთოდები;
- მოტივაციის ხელოვნება; წახალისების სისტემები ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე;
- დავალების მიცემის ხელოვნება;
- კონფლიქტის მართვის მეთოდები. კონფლიქტოლოგია;
- როგორ გავაკრიტიკოთ; შედეგიანი კრიტიკა;
- სასწავლო პროცესის მენეჯმენტი; დროის მართვა და ეფექტიანობა

ტრენინგს უძღვებიან: მოწვეული ექსპერტი და გამოცდილი ტრენერები.
ფასი: 50 ლარი
მსმენელებს გადაეცემათ: შესაბამისი მასალა და სერტიფიკატი.
რეგისტრაციის ბოლო ვადა: 20 მარტი, 17 სთ.

4. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიული ცოდნის ასამაღლებელი ტრენინგი

დასაწყისი: ჯგუფის შედგენისას
პროგრამის ხანგრძლივობა: 2 დღე, სულ 12 საათი
ტრენინგზე განიხილება:

- თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები (ცვლილებები და სიახლეები);
- ქართული ენის გრამატიკის სწავლების თანამედროვე მიდგომები და მეთოდები (თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით);
- წერითი მეტყველების სწავლების მეთოდები (სტრატეგიები). პრაქტიკული რჩევები წერითი მეტყველების უნარ-ჩვევების განსავითარებლად;
- მართლწერის საკითხების სწავლების მეთოდები;
- ინტერაქტიური გაკვეთილის ჩატარებისთვის საჭირო მეთოდები;

ტრენინგს უძღვებიან: მოწვეული ექსპერტი და გამოცდილი ტრენერები.
ფასი: 50 ლარი
მსმენელებს გადაეცემათ: შესაბამისი მასალა და სერტიფიკატი.
რეგისტრაციის ბოლო ვადა: 20 მარტი, 17 სთ.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

38 36 70 – მირანდა (ოფისის მენეჯერი)

893 21 42 20 – მირანდა (ოფისის მენეჯერი)

მისამართი: თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6, III სართული, ოთახი №303

(გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი – ალმა მატერი)

ანგარიშსწორება შესაძლებელია როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ასევე გადარიცხვით.
ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია:
„ვი თი ბი ჯორჯია“ ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101666,
საიდენტიფიკაციო კოდი: 204997922,
ანგარიშსწორების ანგარიში: 25203608

მეთოდიკა

გაკვეთილი ბიოლოგიაში. IX კლასი

გაკვეთილის თემა: ადამიანის კბილების აგებულება და ფუნქციები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ ადამიანის კბილების აგებულებისა და ფუნქციების აღწერა და სხვა ხერხემლიანი ორგანიზმების (თევზი, ქვეწარმავალი) კბილებთან შედარება.

გაკვეთილზე გამოყენებული მასალა: ტესტები, პლაკატები ადამიანის, თევზის და ქვეწარმავლის კბილების გამოსახულებით, ფორმატები, ცხრილი, სარკე.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, ჯგუფური.

გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები: საშინაო დავალების შემოწმება (წერითი სამუშაო), ახალი მასალის წარდგენა, საშინაო დავალების პირობის განმარტება.

გაკვეთილის დრო: 45 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გაკვეთილს საშინაო დავალების შემოწმებით დავიწყებ. მოსწავლეებს დავურიგებ წინასწარ მომზადებულ ტესტებს, რომელიც 10 წუთის განმავლობაში უნდა შეასრულონ. სასურველია ტესტის რამდენიმე ვარიანტი შევადგინოთ. გთავაზობთ ტესტის ერთ-ერთი ვარიანტის ნიმუშს.

ტესტი

1. **შეავსეთ წინადადება**

საჭმლის მომნელებელ სისტემაში საკვების ___ დამუშავებას და მის _____ საჭმლის მონელება ეწოდება.

2. **საჭმლის მონელებას ახორციელებენ:**

ა. ჰორმონები; ბ. ფერმენტები; გ. ნახშირწყლები; დ. ცხიმები.

3. **რომელი ჯირკვალი არ მონაწილეობს მონელების პროცესში?**

ა. ღვიძლი; ბ. კუჭქვეშა ჯირკვალი; გ. ფარისებრი ჯირკვალი; დ. სანერწყვე ჯირკვლები.

4. **ჩამოთვალეთ ქსოვილები, რომლებიც საჭმლის მომნელებელი არხის აგებაში მონაწილეობენ.**

5. **როგორი შედგენილობა აქვს ნერწყვს?**

6. **რომელი ნივთიერების მონელება იწყება პირის ღრუში?**

ა. ცილის; ბ. ნახშირწყლის; გ. ცხიმის; დ. მარილის.

7. **რა ფუნქციას ასრულებს ნერწყვში შემავალი ლიზოციმი?**

ა. ინელებს ცხიმებს; ბ. ხოცავს ბაქტერიებს; გ. ასველებს საკვებს; დ. ინელებს ცილებს.

8. **რომელი დებულება არ არის მართებული?**

ა. მომნელებელი არხის აგებაში გლუვი კუნთოვანი ქსოვილი მონაწილეობს;

ბ. მონელების პროცესში ორგანული ნივთიერებების დაშლა ხორციელდება;

გ. ნერწყვი პირის ღრუში მჟავა არეს ქმნის;

დ. მონელების პროცესში ცილები ამინომჟავებამდე იშლება.

9. **შეარჩიეთ სწორი პასუხი.**

ა. ცხიმები ფერმენტების მეშვეობით ცხიმოვან მჟავად და გლიცერინად იშლება;

ბ. ნახშირწყლები ფერმენტების მოქმედებით ამინომჟავებამდე იშლება;

გ. ცხიმები ფერმენტების მოქმედებით გლუკოზამდე იშლება;

დ. ნახშირწყლები, ფერმენტების მოქმედებით, ცხიმოვან მჟავად და გლიცერინად გარდაიქმნება.

10. **ჩამოთვალეთ თანმიმდევრობით საჭმლის მომნელებელი სისტემის ორგანოები:**

_____

ახალი მასალის წარდგენა

ახალი მასალის წარდგენას ვიწყებ საუბრით იმის შესახებ, რომ პირის ღრუში საკვები მექანიკურად მუშავდება, ქუცმაცდება კბილების მეშვეობით. ზრდასრულ ადამიანს 32 კბილი აქვს, რომლებიც ზედა და ქვედა ყბის ფოსოებშია მოთავსებული. თითო ყბაზე ადამიანს აქვს ოთხი ბრტყელი საჭრელი კბილი, საჭრელი კბილების ორივე მხარეს თითო ეშვია, ხოლო ეშვების უკან მოთავსებულია ორი მცირე და სამი ძირითადი კბილი. კბილების ბოლო წყვილს ყბაზე სიბრძნის კბილი ეწოდება, რადგანაც ეს კბილები მოგვიანებით, 20-22 წლის ასაკში, ამოდის. ჰიპოკრატე მიიჩნევდა, რომ ადამიანი სწორედ ამ ასაკში ბრძენდება და ამიტომაც მიიღეს აღნიშნულმა კბილებმა ეს სახელწოდება. როგორც ვნახეთ, ადამიანის კბილები განსხვავდება ფორმით, რაც მათი ფუნქციით არის განპირობებული (3 წთ.)

შემდეგ მოსწავლეებს დავყოფ ჯგუფებად, დავურიგებ წინასწარ მომზადებულ ცხრილს და პატარა სარკეებს. მოსწავლეებმა უნდა დაათვალიერონ საკუთარი კბილები, იმსჯელონ მათი ფორმისა და ფუნქციის შესახებ და შეავსონ შემდეგი ცხრილი:

კბილები	ფორმა	ფუნქცია
მჭრელი ეშვები ძირითადი კბილები		

პრეზენტაციები (5 წთ.)

პრეზენტაციის შემდგომ მოსწავლეებს ვურიგებ ნახატებს, სადაც გამოსახულია თევზის (მაგალითად, ზვიგენის) და ქვეწარმავლის (მაგალითად, ხვლიკის) კბილები და ვთხოვ, შეადარონ მათი აგებულება ადამიანის კბილების აგებულებას (3 წთ.)

პრეზენტაციები (5 წთ.)

მოსწავლეები მიდიან დასკვნამდე, რომ ადამიანის კბილები დიფერენცირებულია, მათ სხვადასხვა ფორმა აქვთ, რაც შესაბამისი ფუნქციით არის განპირობებული, ხოლო თევზის და ქვეწარმავლის კბილები ერთნაირი ფორმისაა და ამ ცხოველებს მხოლოდ საკვების გაგლეჯვა შეუძლიათ, ღეჭვა კი – არა.

შემდეგ მოსწავლეებს ვთავაზობთ დისკუსიას თემაზე, თუ რატომ არის საჭირო საკვების კარგად დაღეჭვა (2 წთ.).

შემდეგ დაფაზე ვკიდებ პლაკატს ზრდასრული ადამიანის კბილის აგებულების გამოსახულებით.

მოსწავლეებს მივმართავ, რომ კბილი აგებულია ფესვისგან და გვირგვინისგან. გვირგვინი გარედან დაფარულია მინანქრით, რომელიც იცავს კბილს, შიგნით ძვლისმაგვარი დენტინია მოთავსებული, ხოლო მის ქვეშ არის პულპა, რომელშიც სისხლძარღვები და ნერვული დაბოლოებებია. შემდეგ მოსწავლეებს ვუსვამ კითხვას: როგორ ფიქრობენ, კბილი ცოცხალი ორგანოა თუ არა? იმართება დისკუსია (2 წთ.).

დისკუსიის შემდგომ მოსწავლეებს განვუმარტავ, რომ კბილები ადამიანს, დაახლოებით, 5-6 თვის ასაკიდან ამოსდის და ამ კბილებს სარძევე კბილები ეწოდება. სარძევე კბილებს ფესვი არა აქვთ, დროთა განმავლობაში (ეტაპობრივად, 5-6 წლის ასაკიდან და 11-12 წლის ასაკიდან) სარძევე კბილები ამოვარდება და მუდმივი კბილებით შეიცვლება. ადამიანი სიცოცხლეში ერთხელ იცვლის კბილებს (2 წთ.).

შემდეგ მოსწავლეებს ჯგუფებში ვთხოვ ჩამოაყალიბონ, თუ როგორ დავიცვათ კბილები და რატომ არის საშიში ორგანიზმისთვის კბილის დაზიანება (3 წთ.)

პრეზენტაციები (3 წთ.)

შეჯამებისთვის მოსწავლეებს ფრონტალურად დავუსვამ კითხვებს კბილის აგებულებისა და ფუნქციების შესახებ (2 წთ.). გაკვეთილის დასასრულს მივცემ შესაბამის საშინაო დავალებას.

ნატა ბიჭიკაშვილი,
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
გაეროს ასოციაციის საერთაშორისო სკოლა

„ლიბო MNT“

გსურთ, სათანადოდ მოემზადოთ სკოლის აკრედიტაციისთვის, იყოთ თანამედროვე, ევროპული დონისა და, აქედან გამომდინარე, წარმატებული სკოლის წევრი?

„ლიბო MNT“ გთავაზობთ ტრენინგების კურსს შემდეგ მოდულებში:

დირექტორის მოადგილეებისთვის სასწავლო დარგში

თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების ფარგლებში, სასწავლო პროცესის დაგეგმვა, შედეგების მონიტორინგი, სასწავლო დოკუმენტების წარმოება. **თვითშეფასების მექანიზმები.**

საგნობრივი კათედრის გამგეებისთვის:

პროგრამის სისტემატიზაცია, საგნობრივი ჯგუფის საგნის / საგნების საგნობრივი სწავლების კოორდინაცია,სილაბუსების შედგენა, პროფესიული ზრდა, მონიტორინგისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოება.

ტრენინგების კურსებს წარუძღვებიან განათლების სამინისტროს მწვრთნელები და გამოცდილი ექსპერტები.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ შემდეგ პირებს:
822 47 89 19 (ხათუნა) 877 45 50 47 (თამარი)
E-mail: LLibo. nmt.@posta.ge libo.mnt@ mail.ru შ.პ.ს.
„ლიბო მნტ“ ანგარიშის № 215999200ს/კ200243502
ს.ს.საქარ. ბანკის ცენტრალური ფილიალი ს/კოდი 220101502
მისამართი: წერეთლის 142, V სართ. ოთ.№3 (გვარი,სახელი,დანიშნულება)

TSC შპს „ტექსერვისცენტრი“

კომპიუტერული, საოფისე და საყოფაცხოვრებო ტექნიკის სერვისი

სასწავლო დაწესებულებებისთვის ფასდაკლება 20%, ადგილზე მომსახურება, უფასო დიაგნოსტიკა

- კარტრიჯების აღდგენა.
- პრინტერების შეკეთება.
- კოპიერების შეკეთება.
- ქსელის მონტაჟი.
- კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა.
- ნოუთბუქების შეკეთება.
- ვებ დიზაინი.
- ტელეფონების (რადიო ტელეფონი, მობილური, ფაქსი) შეკეთება.
- სისტემური ტელეფონის მონტაჟი-პროგრამირება-შეკეთება.
- უწყვეტი კვების ბლოკების და ადაპტერების შეკეთება.
- მონიტორების შეკეთება.
- ტელევიზორის შეკეთება.
- ტელევიზორის ქსელის მონტაჟი.
- მუსიკალური ცენტრების შეკეთება.
- სარეცხი მანქანის შეკეთება.
- გაზის და ელექტროქურების შეკეთება.
- მაცივრების შეკეთება.
- კონდინციონერების შეკეთება.
- სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეკეთება.
- დამაფონის მონტაჟი-შეკეთება.
- დაცვითი და სისტემების პროექტირება-მონტაჟი-შეკეთება.
- სანტექნიკის მონტაჟი-შეკეთება.
- გათბობის სისტემის მონტაჟი შეკეთება.
- დაბალი დენების ქსელის დაპროექტება-მონტაჟი.
- საწარმოს ხაზის მონტაჟი.
- სხვადასხვა ფორმატის კასეტების ინფორმაციის ჩაწერა-გადაწერა.

ალ. ყაზბეგის გამზ. №1. ტელ: 371-471, 37-41-14
ელ-ფოსტა: tsc@caucasus.net servise@tsc.ge
www.tsc.ge
შპს „ტექსერვისცენტრი“ TSC

სოფლის მეურნეობის და განათლების მუშაკთა პროფკავშირის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დამსახურებული მასწავლებელი, ღირსების ორდენის კავალერი, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე, შესანიშნავი ადამიანი, ქალბატონი

მაყვალა ლაპიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს, ნათესავებსა და ახლობლებს.

დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის

მაყვალა ლაპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

მეთოდიკა

მოკლევადიანი სასწავლო პროცესის დაგეგმვა მათემატიკაში

გაკვეთილის დასკვნითი ნაწილი

(გაგრძელება)

რით შეიძლება მთავრდებოდეს გაკვეთილი?

ადვილი მისახვედრია, რომ ისიც **აქტივობაა.**

ვისი?

მოსწავლეების, მასწავლებლის თუ ორივესი ერთად?

შეიძლება იყოს მასწავლებლის ან მოსწავლის. **მრავალფეროვნება პროცესს სასიამოვნოს და სახალისოს ხდის.**

გამოდის რომ, გაკვეთილის **დასასრულის დაგეგმვაც ისევე საჭიროა**, როგორც დასაწყისის და ძირითადი ნაწილის?

სწორი მიხვედრაა. ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი დატვირთვა სწორედ გაკვეთილის დასკვნით ნაწილზე მოდის. შეგახსენებთ ცნობილი მათემატიკოსის – ჯ. პოიას შეხედულებას ამოცანის ამოხსნის ბოლო აუცილებელი ეტაპის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე:

„ამოცანის ამოხსნის შემდეგ უნდა დავუბრუნდეთ ამოხსნის პროცესს, გავაანალიზოთ იგი, გამოვავლინოთ გამოყენებული ძიების ხერხი, განვმარტოთ და განვაზოგადოთ იგი.“

ასეა გაკვეთილის შემთხვევაშიც. **უკან,** გაკვეთილის დასაწყისში, დაბრუნებაა საჭირო, რათა კიდევ ერთხელ გაიაროს ჩატარებულმა გაკვეთილმა თითოეული მოსწავლის, მასწავლებლის, დამსწრე პირის (და ა.შ.) თვალწინ, გონებაში, მოხდეს შეჯამება, თუ რა დროს, გაკვეთილის რომელ მომენტში რა გაკეთდა, ვინ გააკეთა, როგორ გაკეთდა, რა იყო ხელშემწყობი და რა იყო ხელშემშლელი ფაქტორები, რისი გამეორება და განზოგადებაა შესაძლებელი და რა საჭიროებს შეცვლას. დიახ, ეს გაკვეთილის შეჯამებაა, რომელიც, შესაძლებელია, სხვადასხვა აქტივობით იყოს წარმოდგენილი, განხორციელებული.

და მაინც, რისი გაკეთება შეიძლება, კონკრეტულად, გაკვეთილის ბოლოს?

ეს შეიძლება იყოს :

1) სწრაფი შეფასების ხერხი;

2) რეფლექსია;

3) ესე;

4) თვითშეფასება;

5) გამოხმაურება (რჩევები, როგორ მიაღწიოს უკეთეს შედეგს).

როგორც ხედავთ, ყველა მათგანი შეფასებას უკავშირდება, რაღაცის შეფასებას მოიაზრებს.

შევეცდებით თითოეულის შესახებ ინფორმაციის მოწოდებას. თუ რომელი მათგანის გამოყენება, რა დროს, რომელ გაკვეთილზეა მიზანშეწონილი, თქვენზე უკეთ ვერავინ მიხვდება, თუ გამოიყენებთ, დაუკვირდებით და კორექტირების შეტანას ეცდებით.

რეფლექსია (თვითშემეცნება) – [ლათ. Reflecxio – ასახვა] ეს ორმაგი, სარკისებური არეკვლის პროცესია სუბიექტისა, სადაც მნიშვნელოვანია თითოეული მათგანის თავისებურების ასახვა, აღდგენა.

რეფლექსიას აკეთებს მასწავლებელიც და მოსწავლეც.

რეფლექსური სწავლება ნიშნავს მასწავლებლის მიერ თვითშეფასებისა და საკუთარ ქმედებებზე მეთვალყურეობის მუდმივ პროცესს, ანუ ვფიქრობთ იმაზე, თუ რატომ ვმოქმედებთ ასე და მოაქვს თუ არა შედეგი ჩვენს ქმედებას. საკუთარ საქმიანობაზე ინფორმაციის მოგროვება, ანალიზი და შეფასება საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ საკუთარი პრაქტიკა და გავაუმჯობესოთ იგი. სწავლების ხარისხი მით უკეთესია, რაც უფრო მეტი ინფორმაციაა სწავლის შესახებ. რეფლექსური სწავლება ნიშნავს პროფესიულ განვითარებას, რომელიც საკუთარ კლასში იწყება. თუ გაკვეთილი კარგად წარიმართა, აუცილებელია აღმოვაჩინოთ გაკვეთილის წარმატებული მსვლელობის ხელშემწყობი ფაქტორები.

თუ მოსწავლეები ვერ გაიგებენ ამა თუ იმ საკითხს, უნდა დავფიქრდეთ, რატომ ვერ გაიგეს?

თუ მოსწავლეები ცუდად იქცევიან, უნდა განვსაზღვროთ, როდის და რატომ იქცევიან ასე? რეფლექსური სწავლება ციკლური პროცესია, რომელიც მუდამ უნდა მეორდებოდეს. მასწავლებელს მუდმივად მოუწევს პასუხის გაცემა კითხვებზე:

- რას ვაკეთებ?
- რატომ ვაკეთებ?
- რამდენად შედეგიანია ჩემი ქმედება?
- როგორია მოსწავლეთა საპასუხო ქმედებები?
- როგორ შემიძლია გავაკეთო უკეთესად?

მასწავლებელმა შეიძლება სხვადასხვა ხერხი გამოიყენოს იმისათვის, რომ რეფლექსიის პროცესი წარმატებით აწარმოოს. ასეთი ხერხებია:

1. მასწავლებლის დღიური;
2. კოლეგებთან წყვილებში მუშაობა;
4. აუდიო-ვიდეოჩანაწერები გაკვეთილზე;
5. მოსწავლეთა შეფასებები გაკვეთილის შესახებ;
6. მოსწავლეების თვითშეფასება.

1. მასწავლებლის დღიური

ყოველი გაკვეთილის შემდეგ შეეცადეთ, მოკლედ ჩაწეროთ, რა მოხდა გაკვეთილზე. ასევე, აღწერეთ როგორც პირადი, ისე მოსწავლეთა რეაქციები და გრძნობები, რომლებიც თვალში მოგხვდათ. მერწმუნეთ, ასეთი მიდგომები გაცილებით უკეთეს შედეგზე გაგიყვანთ და გაცილებით სწრაფად, ვიდრე ეს თქვენ წარმოგიდგენიათ.

დააკვირდით.

ჰკითხეთ საკუთარ თავს:

- მივაღწიე თუ არა მიზანს?
- რა იყო მოსწავლეებისთვის რთული და რა – მარტივი?
- რა პრობლემები აქვთ მოსწავლეებს?
- გამოვიწვიე და შევინარჩუნე თუ არა მოსწავლეთა ინტერესი მიწოდებული აქტივობებით და სამუშაო მასალით?
- სამუშაოს რა ნაწილი შეასრულა ყველა მოსწავლემ?
- გაკვეთილის რომელ ნაწილში იყვნენ მოსწავლეები ყველაზე მეტად მოტივირებულები?
- რით იყო ეს გამოწვეული?
- ყველა მოსწავლემ შეძლო თუ არა თვითრეალიზაცია?
- რით იყო ზოგიერთი აქტივობა, სხვასთან შედარებით, ეფექტური?
- რამდენად მოვახერხე მოსწავლეთა შესაძლებლობებზე გათვლილი აქტივობების შერჩევა?
- როგორ გავანაწილე დრო?
- სწორად შევარჩიე თუ არა მოსწავლეთა ორგანიზების ფორმები?
- როდის იყო ჩემი ინსტრუქციები ნათელი და როდის ბუნდოვანი?
- მივეცი თუ არა ყველა მოსწავლეს მონაწილეობის საშუალება?

და ა.შ.

ბოლოს უნდა გაეცეს პასუხი კითხვას: რას შევცვლიდი?

(ეცადეთ, ეს კითხვები ცხრილის სახით ჩაწეროთ და ხშირად გამოიყენოთ).

2. კოლეგებთან წყვილებში მუშაობა

რეფლექსია მოითხოვს თანამშრომლობას. რეფლექსიისათვის მნიშვნელოვანია კოლეგებთან ჯგუფში მუშაობა, **კოლეგასთან ერთად გაკვეთილის დაგეგმვა**, **შემდეგ ერთად გაანალიზება,** კოლეგასთან ერთად გაკვეთილზე დაკვირვება, პროფესიული დიალოგები. აგრეთვე, მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი კვლევა, დაკვირვება. სხვისი აზრის მოსმენა ამას უფრო მეტ სიღრმეს შესძენს. შესაძლებელია, კოლეგამ ერთ-ერთი მოსწავლის როლიც შეასრულოს გაკვეთილზე, ჯგუფში მუშაობის დროს დაგაკვირდეთ, თუ როგორ ახერხებთ ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტას.

3. გააკეთეთ თქვენი გაკვეთილის აუდიო ან ვიდეოჩანაწერი

შესაძლოა, თქვენი მოქმედებები შემჩნეული და გაცნობიერებული არ გქონდეთ.

მაგალითად :

- რამდენს ლაპარაკობთ?
- რას ეხება თქვენი საუბარი?
- არის თუ არა ინსტრუქციები და განმარტებები ნათელი და მარტივი მოსწავლეებისათვის?
- რამდენ ხანს საუბრობენ მოსწავლეები?
- როგორ პასუხობთ მოსწავლეებს?
- როგორ ლაპარაკობთ?
- როგორ მოძრაობთ კლასში?
- როგორია მოსწავლეთა უკუგება?
- აფასებინებთ თუ არა მოსწავლეებს გაკვეთილს?
- ეკითხებით თუ არა რაიმეს გაუმჯობესების შესაძლო დაშვებების შესახებ?
- აძლევთ თუ არა მოსწავლეებს არჩევანის თავისუფლებას?
- ვის აძლევთ? ვის იგნორირებას აკეთებთ და რა ფორმით?
- გყავთ თუ არა ფავორიტები კლასში?
- როგორია მათი და კლასის დანარჩენი მოსწავლეების რეაქციები?

4. მოსწავლეთა შეფასებები ახალი სტრატეგიების განსაზღვრის საუკეთესო საშუალებაა და მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს

მოსწავლეები ყველაზე დიდი რესურსია მასწავლებლის განვითარებისთვის. მასწავლებელი უნდა აღიარებდეს მოსწავლეებთან ერთად თვითგანვითარების შესაძლებლობას. თუ ჩვენ მონაცემებს მოვიპოვებთ მოსწავლეებისგან, მაშინ გაუმჯობესებისთვის უფრო მეტი შესაძლებლობა გვექნება. ტესტირებისა და პირადი შთაბეჭდილებების გარდა მონაცემთა შეგროვების მრავალი საშუალება არსებობს. მთავარია, აღიარო ისინი. მოსწავლეებისაგან მასწავლებელმა უნდა მიიღოს სისტემატური შეფასებები გაკვეთილის ერთი რომელიმე ნაწილის (ეს უფრო ეადვილებათ და ზუსტ შეფასებებს აკეთებენ) ან მთლიანად გაკვეთილის ირგვლივ, ჩატარების ხერხების, გამოყენებული მეთოდების, საკუთარი განცდების შესახებ (აქ ძალზე მნიშვნელოვანია მასწავლებლის სწორი რეაქცია მათ შეფასებებზე, რათა მოსწავლეები გულახდილები და სამართლიანები იყვნენ).

მოსწავლეებისათვის მეტად მნიშვნელოვანია გაკვეთილის დასრულება რამდენიმეწუთიანი რეფლექსიით:

- რა ვისწავლეთ და როგორ ვისწავლეთ?
- გაკვეთილის შემდეგ რომ ვინმემ მკითხოს, რატომ იყავი ამ გაკვეთილზე, რას აკეთებდიო, რას ვუპასუხებდი?
- რა ვერ შევძელი და რატომ?
- ვისთან ერთად ვიმუშავე წარმატებულად და რატომ?

წარმოუდგენელია დღის იმაზე კარგი დასასრული, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ახდენს რეფლექსიას და აკეთებს დასკვნას.

რეფლექსია მასწავლებელს საშუალებას აძლევს, წარმატებულად დაგეგმოს მომავალი გაკვეთილი.

რეფლექსია მასწავლებლის საქმიანობის შემადგენელი ნაწილია.

5. მოსწავლეების თვითშეფასება

შეგახსენებთ ჰუმანისტური პედაგოგიკის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის – კარლ როჯერსის სიტყვებს: **„თვითშეფასება სრულფასოვან პროფესიონალებს ქმნის.“**

როცა მოსწავლეების თვითშეფასებაზე ვესაუბრებით მასწავლებლებს, მათგან ხშირად გვესმის: რა იციან მათ, როგორ შეაფასონ თავიანთი თავი? ჰოდა, თუ არ იციან, მაშინ ვასწავლოთ.

როგორ მივაჩვიოთ მოსწავლეები თვითშეფასებას?

აქ დიდი სიფრთხილე და კარგად დაგეგმილი თანამიმდევრობის დაცვაა საჭირო, რადგან იგი დაკავშირებულია როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლის პიროვნული ღირებულებების საკმაოდ ღრმა და ნელ გარდაქმნებთან. ურთიერთშორის **ნდობაზე** დაფუძნებული თანამშრომლობის ვალდებულებებზე გარკვეული დრო ვიმუშავეთ, სანამ ყველამ არ ვაღიარეთ.

შეგახსენებთ ეროვნულ სასწავლო გეგმაში ხუთი ძირითადი ცვლილებიდან მეოთხეს: **სწავლებაში მოიაზრება არა ერთი კონკრეტული გზის გავლა, არამედ მასწავლებლისა და მოსწავლის მიერ ერთად შერჩეული ოპტიმალური გზის ძიება“.**

როცა მოსწავლეებში თვითშეფასების უნარ-ჩვევათა ფორმირებაზე დავიწყე ფიქრი, გადავწყვიტე, ჯერ მათი აზრი გამეგო ამ პროცესის შესახებ. ჩავატარე მოსწავლეთა ანონიმური გამოკითხვა. მოსწავლეებისაგან აზრთა სხვადასხვაობა მივიღე. სამი ძირითადი კატეგორია გამოიკვეთა. **ერთნი** მიიჩნევდნენ, რომ მოსწავლე მხოლოდ მასწავლებელს უნდა შეეფასებინა და არავის სხვას (ამ კატეგორიის მოსწვლეებს სიახლე აშინებდათ და პასუხისმგებლობას გაურბოდნენ); **მეორენი** აუცილებლადაც კი მიიჩნევდნენ, რომ მოსწავლეებს თავად შეეფასებინათ თავიანთი თავი (ეს კატეგორია უნდობლობას გამოხატავდა მასწავლებლის სამართლიანობის მიმართ და დაუყოვნებელი ცვლილებების მომხრე იყო); **მესამე** კატეგორია მიიჩნევდა, რომ შეფასება მასწავლებელს და მოსწავლეს ერთად უნდა მოეხდინათ.

ისინი თავიანთ არჩევანთან დავტოვე და კიდევ დავუტოვე მორიგი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა.

რას ნიშნავს დავტოვე თავის არჩევანთან?

ეს იმას ნიშნავს, რომ ვისაც უნდოდა, შემეფასებინა, ვაფასებდი; ვინც თვითშეფასება არჩია – ის თვითშეფასებას აკეთებდა, ხოლო ვინც ორივე მხარის ერთად მონაწილეობის მომხრე იყო – მასთან ერთად, შეთანხმებით, ხდებოდა შეფასება.

რას ნიშნავს კიდევ დავუტოვე მორიგი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა?

შეფასების ამ სამი განსხვავებული სტრატეგიის მაყურებლები სამივე კატეგორიის მოსწავლეები იყვნენ. ისინი აკვირდებოდნენ კლასში მიმდინარე პროცესებს და, თუ ვინმე შეიცვლიდა აზრს, შეეძლო იმ ჯგუფს მიმხრობოდა, რომლის ქმედებებიც მოეწონა. მათი რიცხვი, ვინც მხოლოდ მასწავლებელს მიიჩნევდა შემფასებლად ნულამდე დავიდა.

როგორ შეძლეს თვითშეფასება მოსწავლეებმა?

- სტანდარტების ინდიკატორებზე დაყრდნობით, შევადგინეთ შეფასების ცხრილები, რათა სუბიექტური, უარგუმენტო აზრები გამოგვერიცხა;
- პირველი ცხრილები რთული გამოგვივიდა და შეფასებები ძალიან გაგვიჭირდა, თითქმის ვერაფერი შევძელით;
- შევეცადეთ მათ გამარტივებას, რაც იმას ნიშნავდა, რომ, რა უნარ-ჩვევებსაც კლასის უმრავლესობა ფლობდა, ისინი დავტოვეთ, რათა თვითშეფასება გაბედულად და მარტივად გვეწარმოებინა;
- ეს ცხრილები ყოველთვის იყო კლასში გამოკრული, რაც საშუალებას აძლევდა მოსწავლეს, დაენახა, თუ რა ვერ შეძლო და რაც შეძლო, რა მოთხოვნას აკმაყოფილებს.

ერთი რამ დასაწყისშივე უნდა ვაღიაროთ: შეფასება მასწავლებლებისათვისაც აქილევსის ქუსლია. ბუნებრივია, მოსწავლეებსაც გაუჭირდებოდათ. თუმცა სიძნელეებს მოსწავლეები არ შეუშინებია, იმდენად საინტერესო, სახალისო, სასიამოვნო და შემოქმედებითი იყო თვითშეფასების პროცესი. ეს პროცესი მრავალფეროვან ხერხებს მოიაზრებს და მუდმივი ძიების პროცესია.

რეკომენდაცია: შეიმუშავეთ ცხრილები **მოსწავლეებთან ერთად** დამოკიდებულებების გასარკვევად, საშინაო დავალების შესასრულებელი უნარ-ჩვევების, ჯგუფში მუშაობის უნარ-ჩვევების და სხვათა შესამოწმებლად.

ნელი ნასყიდაშვილი
მათემატიკის მასწავლებელი

აირჩიეთ, სად ისწავლით

თავისუფალი უნივერსიტეტი

საუკეთესო განათლება საუკეთესო აბიტურიენტებს

თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლა (ESM)

სპეციალობები და მისაღები კონტინგენტი:

ბიზნესის ადმინისტრირება (სამუშაო ენა ინგლისური) – 65 აბიტურიენტი

თუ გსურს, ჩააბარო ბიზნესის ადმინისტრირებაზე, შემოხაზე **036-01**

საბანკო საქმე (სამუშაო ენა გერმანული) – 20 აბიტურიენტი

თუ გსურს, ჩააბარო საბანკო საქმეზე, შემოხაზე **036-02**

საფასური: 7,200 ლარი

თავისუფალი უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი

სპეციალობები და მისაღები კონტინგენტი:

საერთაშორისო ურთიერთობები (ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები)

აღმოსავლეთმცოდნეობა (არაბისტიკა, ირანისტიკა, თურქოლოგია, სინოლოგია) სულ: 50 აბიტურიენტი

თუ გსურს, ჩააბარო აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში, შემოხაზე **036-03**

საფასური: 5,500 ლარი

თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლა

სპეციალობები და მისაღები კონტინგენტი:

სამართალმცოდნეობა – 30 აბიტურიენტი

თუ გსურს, ჩააბარო სამართლის სკოლაში, შემოხაზე **036 - 04**

საფასური: 5,900 ლარი

თავისუფალი უნივერსიტეტი ეძებს საუკეთესო აბიტურიენტებს მთელ საქართველოში და უხსნის მათ ფინანსურ ბარიერებს!

თავისუფალი უნივერსიტეტი პირველი კერძო სასწავლებელია, რომელმაც საუკეთესო აბიტურიენტებს ხელშეწყობის პროგრამა შესთავაზა. წელს პროგრამამ კიდევ უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო:

საუკეთესო – საუკეთესოებს: ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უმაღლესი ქულების მქონე აბიტურიენტები მიიღებენ სასწავლო გრანტს.

წელს სასწავლო გრანტს მიიღებს **9** საუკეთესო აბიტურიენტი.

ისწავლე დღეს – გადაიხადე ხვალ: თავისუფალი უნივერსიტეტის აბიტურიენტებს, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მაღალ ქულებს დააგროვებენ, შეუძლიათ, უნივერსიტეტში აიღონ შეღავათიანი სტუდენტური სესხი.

წელს შეღავათიანი სტუდენტური სესხით ისარგებლებს **5** წარჩინებული სტუდენტი.

ჩააბარე თავისუფალ უნივერსიტეტში – გახდი წარმატებული!

თავისუფალი უნივერსიტეტის ღია კარის დღეებზე დასწრებისათვის რეგისტრაცია დაიწყო!

წინანასწარი რეგისტრაციის პროცედურები:

ესტუმრეთ ჩვენს ვებ-გვერდზე www.freeuni.edu.ge აბიტურიენტთათვის განკუთვნილ სექციას და შეავსეთ აბიტურიენტთა რეგისტრაციის მარტივი ფორმა. მიუთითეთ თავისუფალი უნივერსიტეტის რომელი სკოლის ღია კარის დღეზე გსურთ დასწრება და აირჩიეთ თქვენთვის სასურველი თარიღი.

ან

დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: + (995 32) 51 94 81; +(995 32) 31 21 00

თავისუფალი უნივერსიტეტის ღია კარის დღეების კალენდარი:

ბიზნესის სკოლა (ESM) 1 მარტი 11:00 სთ; 1 მარტი – 15:00სთ; 3 მარტი – 12:00სთ
აზიის და აფრიკის ინსტიტუტი – 2, 4 მარტი, 12:00 სთ
სამართლის სკოლა – 28 თებერვალი – 12:00 სთ; 4 მარტი – 16:00 სთ

ღია კარის დღეები თავისუფალ უნივერსიტეტში:

თავისუფალი უნივერსიტეტი 28 თებერვლიდან იწყებს ღია კარის დღეებს დაინტერესებული აბიტურიენტებისათვის. აბიტურიენტებს ექნებათ შესაძლებლობა, შეხვდნენ თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორებსა და ლექტორებს, მიიღონ დეტალური ინფორმაცია თავისუფალ უნივერსიტეტზე (რომელიც 2015 წლისთვის მსოფლიოს საუკეთესო სასწავლებლებს შორის იქნება), იქ არსებულ უახლეს სასწავლო ტექნოლოგიებსა და სწავლების მეთოდებზე, მათთვის სასურველ პროგრამაზე, დაათვალიერონ თავისუფალი უნივერსიტეტის ახალი შენობა და მიიღონ თავისუფალი უნივერსიტეტის სამახსოვრო საჩუქრები.

ადგილმდებარეობა

ღია კარის დღეები ჩატარდება თავისუფალი უნივერსიტეტის ახალი შენობის საკონფერენციო დარბაზში.

თავისუფალი უნივერსიტეტის ახალი შენობის მისამართია: **ნუცუბიძის ფერდობი, პირველი მიკრორაიონი.**

თავისუფალი უნივერსიტეტი დაარსდა 2007 წელს. მასში შევიდა საქართველოში არსებული ორი წამყვანი უმაღლესი სასწავლებელი – ESM-თბილისი და თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი. წელს არსებულ სკოლებს დაემატა სამართლის სკოლა, რომელიც თავის სფეროში ისეთივე სახელს დაიმკვიდრებს, როგორიც თავისუფალი უნივერსიტეტის დანარჩენ ორ სკოლას აქვს დამკვიდრებული.

www.freeuni.edu.ge

BUSINESS SCHOOL ESM

გახდი თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტი – აქ შენი ცოდნა დაფასდება!

გახდი თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტი – გაიგოს მსოფლიომ შენ შესახებ!

გახდი თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტი – მხოლოდ განათლებას მოაძვს თავისუფლება!



მეთოდიკა

IV კლასში ქართულ ენაში ისწავლება ეკატერინე გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“. ნაწარმოების შესწავლის პარალელურად მოსწავლეებს ვაჩვენე თენგიზ აბულაძის ამავე სახელწოდების ფილმი, რომელიც სკოლის ვიდეოთეკაში გვქონდა. შემაჯამებელი გაკვეთილი საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანი გამოვიდა. მსურს, გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება. სცადეთ, იქნებ თქვენ უკეთ შეძლოთ!

გაკვეთილის თემა: ეკატერინე გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“

„ლურჯა დაიბრუნეს“ – თხრობით

კლასი: IV

მიზნები:

- მოსწავლეები შეისწავლიან ეკ. გაბაშვილის „მაგდანას ლურჯას“;
- განამტკიცებენ განვლილ მასალას;
- გაიმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს;
- ამაღლდება კითხვის კულტურა;
- ნახავენ ამავე სახელწოდების ფილმს და მოახდენენ შედარება-ანალიზს;
- წერისას მიეჩვევიან დროის მცირე მონაკვეთში აზრის სწორად და ლაკონურად ჩამოყალიბებას;
- განუვითარდებათ ინფორმაციის შეკრებისა და დახარისხების, საკუთარი აზრის გამოთქმის და არგუმენტაციის, მონაცემების ანალიზის საფუძველზე ლოგიკური დასკვნების გაკეთების, გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები.

შეფასება:

- ზეპირი;
- დისკუსია;
- საკლასო სამუშაო;
- ინკლუზიური მოსწავლის შეფასების ფურცელი;
- მოსწავლეთა თვითშეფასება და შეფასება.

აქტივობები:

- საშინაო დავალების შემოწმება – 2 წთ.
- ნაწარმოების გეგმის შედგენა და კითხვა-პასუხით განვლილი მასალის გამოკითხვა – 10 წთ.
- გაკვეთილის თხრობა – 3 წთ.
- წერითი სამუშაო – „ჩემი აზრით“ – 3 წთ.
- ვიდეოფილმის ფინალის ჩვენება – 4 წთ.
- დისკუსია – „სასამართლო სხდომა“ – 7 წთ.
- ვენის დიაგრამა – ფილმისა და ნაწარმოების შედარება-ანალიზი – 8 წთ.
- რეფლექსია – 3 წთ.
- საშინაო დავალების მიცემა – 2 წთ.
- გაკვეთილისა და მოსწავლეთა შეფასება – 3 წთ.

მოსწავლეთა ორგანიზება: ინდივიდუალური, მთელი კლასი

დრო: ერთი გაკვეთილი – 45 წთ.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, კალამი, ფერადი ბარათები, დაფა, ცარცი, ტექნიკა – ტელევიზორი, ვიდეო, ვიდეომასალა, სტიკერები.

გაკვეთილის თანმიმდევრობა

1. საშინაო დავალების შემოწმება

მოსწავლეებს დავალებული ჰქონდათ, წარმოედგინათ ნახატები „მაგდანას ლურჯას“ ბოლო თავის მიხედვით. ნახატები დასვენებაზე შეემატა თემატურ გამოფენას.

2. გაკვეთილის გეგმის შედგენა და კითხვა-პასუხით განვლილი მასალის გამეორება:

გეგმა მოსწავლემ დაწერა დაფაზე, ხოლო განვლილი მასალა ამოვწურეთ კითხვებით:

- **მაგდანას დაქვრივება**
  – როდის დაქვრივდა მაგდანა?
  – რამდენი შვილი დარჩა მას?
- **ოჯახის გაჭირვება**
  – რატომ ცხოვრობდნენ გაჭირვებულად?
  – რატომ ვერ ეხმარებოდა სოფელი გაჭირვებულ ოჯახს?
- **მაგდანას გადაწყვეტილება**
  – რა გამოსავალი ნახა მან?
  – ვინ უვლიდა ამ დროს ოჯახს?
- **მაგდანას იმედი**
  – რა გახდა ოჯახის იმედი?
  – ვინ იპოვა სახედარი?
  – როგორ მოუარეს მას?
- **შემთხვევა ქალაქში**
  – აღწერეთ დილის ქალაქი.
  – რა მოხდა ქალაქში?
  – როგორ დასრულდა დავა?
- **დამწუხრებული ოჯახი**
  – აღწერეთ მაგდანას და მისი შვილების განცდები
- **ლურჯა დაიბრუნეს** – ...

3. გაკვეთილის თხრობა – 2-3 მოსწავლე გადმოსცემს ბოლო თავის შინაარსს.

4. წერითი სამუშაო – მოსწავლეებს დავურიგე წინასწარ მომზადებული პატარა ბარათები, ვთხოვე, საკუთარი თავი წარმოედგინათ მაგდანას ან მენახშირეს დამცველად და ჩამოეყალიბებინათ საკუთარი თვალსაზრისი დასაბუთებით. სამუშაოს შესრულების დროს დავდიოდი მერხებს შორის და ვეცნობოდი, ვის ინტერესებს იცავდნენ ბავშვები. დროის ამოწურვისთანავე შევკრიბე ბარათები.

5. ვიდეოფილმის დასრულება – ფილმი წინა დღეს ვნახეთ, თუმცა არ დავასრულეთ და შევჩერდით იმ კადრზე, სადაც მოსამართლემ უნდა გამოიტანოს განაჩენი. გაკვეთილზე გავაგრძელეთ ფილმი იმავე კადრიდან, სადაც ჩანს, რომ სახედარს უბრუნებენ მენახშირეს.

მოსწავლეებში ამან უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ამიტომ, ჩემი თხოვნით, გადავინაცვლეთ „სასამართლო სხდომაზე“, ავირჩიეთ მოსამართლე, დამცველები და წარვმართეთ პროცესი (ამ დროს მე უკვე ვიცოდი წერის შედეგები, ვინ დაიცავდა მენახშირეს (1) და მაგდანას (25). იმ შემთხვევაში, თუ მენახშირეს არ გამოუჩნდებოდა დამცველი, მე შევითავსებდი ამ ფუნქციას).

დისკუსიის დროს მოსწავლეები ცდილობდნენ, თავიანთი მოსაზრება არგუმენტირებულად დაესაბუთებინათ და ემსჯელათ ფაქტების მიხედვით. საბოლოო სიტყვა მოსამართლეს მივანდეთ, რომელმაც გადაწყვეტილება მაგდანას სასარგებლოდ მიიღო (რა თქმა უნდა, აქაც დასაბუთებული მსჯელობა მოვისმინეთ), რასაც მოსწავლეთა დადებითი ემოციები მოჰყვა.

6. ვენის დიაგრამა – მოსწავლეებმა მოახდინეს ნაწარმოებისა და ფილმის შედარება-ანალიზი, ჩამოთვალეს მსგავსება-განსხვავება, დაასახელეს მწერალი, რეჟისორი, სცენარის ავტორი, კომპოზიტორი, მხატვარი...

7. აქტივობის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვე, ფერად სტიკერებზე დაეწერათ საკუთარი სახელი და დაფის იმ მხარეს მიეკრათ, რომელსაც ანიჭებდნენ უპირატესობას, ანუ თუ წიგნი მოეწონათ – მარცხენა მხარეს რგოლში მოეთავსებინათ, თუ ფილმი – მარჯვენა მხარეს. რამდენიმე მოსწავლემ ზეპირადაც გამოთქვა საკუთარი აზრი.

ამის შემდეგ მივეცი დავალება: მომდევნო გაკვეთილისთვის მოიფიქრონ, ყოველდღიურად რას ანიჭებენ უპირატესობას – წიგნის კითხვას თუ ფილმების ყურებას და რატომ? (ამ საკითხზე კლასის საათის ჩატარებაც შეიძლება)

8. შეფასება: გაკვეთილის ბოლოს ერთად შევაფასეთ გაკვეთილიც და მოსწავლეებიც.

– მოგეწონათ თუ არა გაკვეთილი?

– რა იყო ყველაზე საინტერესო?

– ვის გამოარჩევდით აქტიურობით თანაკლასელთაგან?

– თუ არის ისეთი, ვინც ვერ შეძლო საკუთარი თავის წარმოჩენა ამ გაკვეთილზე? რა იყო მიზეზი?

– რას მოიმოქმედებ იმისთვის, რომ შემდგომში შეძლო ამ ხარვეზის გამოსწორება?

გარდა ზეპირი კომენტარებისა, გამზადებული მქონდა შეფასების ფურცელირამდენიმე მოსწავლისათვის, რომელიც შევავსე გაკვეთილების შემდეგ.

მარინა გამცემლიძე
თბილისის №144 საჯარო სკოლის
IV კლასის მასწავლებელი

მოსწავლის შეფასების ფურცელი

მოსწავლის გვარი, სახელი _____

აქტივობა	წარმატებულად	კარგად	დამაკმაყოფილებლად	შენიშვნა
საშინაო დავალება * გაკვეთილის თხრობა * ნახატი				
განვლილი მასალის ცოდნა				
აქტიური მონაწილეობა				
ჩართულობა მსჯელობის დროს				
ლოგიკურობა და არგუმენტაცია				
ქცევა გაკვეთილის მსვლელობის დროს				

თარიღი: _____

მასწავლებელი: _____

სპორტი

მიზანი, რომელიც რეალობად აქცევს შესაძლებლობას

თბილისის 57-ე საჯარო სკოლა პეკინის მსოფლიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, **მანუჩარ კვირკველიასა** და ათენის ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონს, **რამაზ ნოზაძეს** მასპინძლობდა. მიუხედავად იმისა, რომ გაკვეთილები კარგა ხნის დამთავრებული იყო, სკოლის მოსწავლეები სპორტსმენებთან შეხვედრას დიდი ენთუზიაზმითა და მოთმინებით ელოდნენ.

შეხვედრა სკოლის დირექტორმა, ყოფილმა სპორტსმენმა (მოჭიდავემ), **იოსებ ხუციშვილმა** გახსნა. მან აღნიშნა: *„სპორტული მიღწევები სწავლით, ვარჯიშითა და დაუღალავი შრომით მიიღწევა; ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენებმა მთელ მსოფლიოს დაანახეს, რომ ქართველი კაცი ძლიერია როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად. ჩვენი მიზანი მხოლოდ სწავლაზე ორიენტირება არ არის, არამედ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობა ჩავაბათ სპორტში“.* დირექტორმა დამსწრეთ წარუდგინა სპორტსმენების მასწავლებელთა მასწავლებელი, 60-70-იანი წლების ევროპის ჩემპიონი, მაშინდელი სსრკ-ის მრავალგზის ჩემპიონი **ომარ ბლიაძე**.

„როგორც ვიცით, ჩვენმა სკოლამ, სწავლასთან ერთად, პრიორიტეტად სპორტული მიმართულებით წინსვლა აირჩია, ვართ საფეხბურთო ტურნირების ჩატარების ინიციატორები ვაპირებთ ალექსანდრე ჩივაძის სპორტული ტურნირის მოწყობას. მომავალში გადაწყვეტილი გვაქვს, სკოლაში მოეწყოს მანუჩარ კვირკველიას სახელობის ჭიდაობის დარბაზი. გვინდა, რომ დღევანდელი შეხვედრა სკოლაში ცნობილი სპორტსმენების მოწვევის ტრადიციის დასაბამი გახდეს“ – აღნიშნა ბატონმა იოსებმა.

დირექტორის გამოსვლის შემდეგ სკოლის მოსწავლეების, განსაკუთრებით გოგონების, კითხვები ნიაღვარივით მოაწყდა ჩვენს სტუმრებს. **ნინო მჭედლიშვილის, ნანუკა წიკლაურის, თათა ცერცვაძის** შეკითხვებზე – *„ოდესმე თუ გიოცნებიათ ოლიმპიადაში მიგეღოთ მონაწილეობა“? „პირველი წარმატება როდის მოვიდა“?* და ა.შ. მანუჩარი დინჯად პასუხობდა: *„მე-9 კლასიდან დავიწყე ვარჯიში. ომი იყო აფხაზეთში, ჩემს მშობლებს უნდოდათ, რომ დასაქმებული ვყოფილიყავი. ჯერ ფეხბურთს ვთამაშობდი, სპორტის სხვა სახეობაშიც ვცადე ბედი. საბოლოო არჩევანი ჭიდაობაზე შევაჩერე. ჯერ საქართველოს ჩემპიონი გავხდი, შემდეგ ევროპის. 2008 წელს მსოფლიო ჩემპიონობა მოვიპოვე. რამაზი დამეთანხმება, რომ ომის დროს, აგვისტოში წამოსვლა გვინდოდა პეკინის ოლიმპიადიდან. ცოლ-შვილი მყავს და მინდოდა, სახლში ვყოფილიყავი, ჩემი ოჯახი დამეცვა, მაგრამ გადავწყვიტეთ, ამ ოლიმპიადაზე გაგვეკეთებინა ჩვენი გასაკეთებელი, სპორტი ხომ „მშვიდობიანი ბრძოლაა“.*

მანუჩარს საუბარში რამაზ ნოზაძე, მისი განუყრელი მეგობარი, ერთვება: *„სპორტსმენის მნიშვნელოვანი მიზანი თავდაუზოგავი შრომაა. თავდაჯერებული უნდა იყო, შენი საქმის სიყვარულით ანთებული. უნდა იყო ღმერთზე მინდობილი“.*

კარატეში თბილისის ღია პირველობის, კავკასიის და აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონის, მოსწავლის – **ცოტნე ლიპარტელიანის** კითხვაზე – *„რომელი იყო ყველაზე რთული პერიოდი თქვენთვის სპორტულ ცხოვრებაში?“* რამაზ ნოზაძე მეგობრის – მანუჩარის – შესახებ ალაპარაკდა: *„მანუჩარი თბილისში ჩვეულებრივი ბიჭი ჩამოვიდა, არავინ ჰყავდა, თვითონ მიაღწია წარმატებას, გახდა ჩემპიონი, შექმნა ოჯახი. მარტო დაიწყო მწვერვალზე ასვლა. ადამიანის წინსვლისთვის მიზანს უპირველესი მნიშვნელობა აქვს. ოღონდ სწორი მიზანი უნდა დაისახო”.*

აქ კი მანუჩარი ჩაერთო: *„ქუჩაში ტყუილად ხეტიალს არაფერი კარგი არ მოაქვს. დიდი პლიუსი აქვს სპორტს – ბევრი ნაღდი მეგობარი გიჩნდება, რომლებიც მხარში გიდგანან. სპორტსმენები დიდი მეგობრობით გამოირჩევიან. მშობლებმა მიმართულება მოგვცეს, ჩვენ კი ეს გზა ავირჩიეთ... ბევრ რამეზე უარს ვამბობდი, ბევრ რამეს ვიკლებდი. თუ არ მოიკელი, წარმატებაც არ მოვა... ჩემი სამოქმედო გეგმაა – ვარჯიში, ვარჯიში, ისევ ვარჯიში. მინდა, ჩემს მწვრთნელს გადავუხადო დიდი მადლობა“.*

კითხვაზე, თუ ვინ არის ჭიდაობაში მანუჩარ კვირკველიას იდეალი? პასუხი ასეთი გახლდათ – **გივი კარტოზია**. ომარ ბლიაძემაც აღნიშნა, რომ გივი კარტოზია ყოველმხრივ განვითარებული სპორტსმენი იყო და ის მსოფლიოს მოჭიდავეთა ელიტაშია შესული.

ამ შეხვედრამ, როგორც დირექტორმა აღნიშნა, რეგლამენტით, გაკვეთილს გადააჭარბა.

სკოლის მოსწავლეებმა მანუჩარ კვირკველიასთან და რამაზ ნოზაძესთან სამახსოვრო სურათები გადაიღეს.

ირმა მუსერიძე

ჭაბუკებმა ძალები მოსინჯეს

შაბათ-კვირას თბილისმა ვლადიმერ მაისურაძის ხსოვნის ტურნირს უმასპინძლა 1992-93 წლებში დაბადებულ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორის. როგორც მოზარდთა ყოველი ტურნირი, ამანაც დიდი ინტერესი გამოიწვია და შეჯიბრება სანახაობრივად ძალზე მიმზიდველი გამოდგა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები ხულელი **დავით ბოლქვაძე** (42), ქუთაისელი **თორნიკე ჯანგავაძე** (46), ბათუმელი **ბაჩანა ფუტკარაძე** (50), გარდაბნელი **სულხან ნიკოლაიშვილი** (54) და მისი თანაქალაქელი **თორნიკე თურქიშვილი** (58), სენაკელი **გიორგი დავითაია** (63), ბათუმელი **ფარნავაზ ბეჟანიძე** (69), თბილისელი **შალვა გონენაშვილი** (76), ქუთაისელი **დავით ჩაკვეტაძე** (85) და რუსთაველი **გიორგი ხაბელაშვილი** (100) გახდნენ.

წყვილად გერმანიაში

ამ დღეებში 17 წლის წყალში მხტომელი **შოთა კორახაშვილი** და მასზე ერთი წლით უფროსი **ჭოლა ჭანტურია** გერმანიაში მსოფლიოს დიდი პრიზის II ტურნირში გამოვლენ. ისინი 3-მეტრიანი კოშკურიდან ინდივიდუალურ ხტომებშიც გამოვლენ და სინქრონულშიც. ცოტა ხნის წინ, მათ ანალოგიურ ტურნირში, ჩინეთში იასპარეზეს და წარმატებითაც – სინქრონულ ხტომებში მეოთხე ადგილზე გავიდნენ, პირად პირველობაში ჭანტურია მეექვსე იყო, კორახაშვილი კი ერთი ადგილით ჩამორჩა. თანაც, იქ ორივემ გააუმჯობესა პირადი მაჩვენებელი.

ეს წყვილი 1-5 აპრილს, იტალიაში, ტურინში, ევროპის ჩემპიონატზე გამოსასვლელად ემზადება. უფროსებში დებიუტი მათ შარშან ჰქონდათ, როცა მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზეს. პრაქტიკულად, ისინი რამდენიმე წლით უფროსებს ეჯიბრებიან, თუმცა ევროპის ჩემპიონატზე ხუთეულში მოხვედრას მაინც გეგმავენ. კონტინენტის პირველობის შემდეგ მწვრთნელები პროგრამის გართულებასაც აპირებენ. დასასრულს კი შეგახსენებთ, რომ ეს წყვილი სპეციალისტებმა კარგა ხნის წინ შერაცხეს პერსპექტიულად და მათგან ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლასაც ელოდებიან.

ქევხიშვილის ამერიკული გაელვება

უკვე რამდენიმე წელიწადია, ქართველი ბირთვის მკვრელი **მარიამ ქევხიშვილი** აშშ-ში სწავლობს და ოსტატობასაც იქ იმაღლებს. აშკარაა, ნაყოფიერადაც, რადგან ამერიკაში გადასვლის შემდეგ შედეგებიც მკვეთრად გაზარდა და იქაურ ტურნირებშიც წარმატებით გამოდის. ახლახან მან აიოვას შტატის საუნივერსიტეტო პირველობაზე იასპარეზა და წარმატებითაც - ბირთვი 17,35 მეტრზე გაისროლა და უნივერსიტეტის პირველობა ხომ მოიგო, 14-24 აგვისტოს გერმანიაში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლის უფლებაც მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ქევხიშვილისთვის წლეულს ეს მეოთხე ანალოგიური გამარჯვებაა, შარშან კი ასევე საუნივერსიტეტო პირველობებში გამოსვლით პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიაც მოიპოვა. ცხადია, ეს მნიშვნელოვანი წარმატებაა – აშშ ხომ მსოფლიო მძლეოსნობაში ერთ-ერთი ლიდერია, საუნივერსიტეტო სპორტი კი იქაური მძლეოსნობის მთავარი მაცოცხლებელი წყაროა.

თვის ბოლოს მარიამ ქევხიშვილი კიდევ ერთ საუნივერსიტეტო ტურნირში იასპარეზებს, მარტში კი თვით ამერიკის ეროვნულ პირველობაზე გამოვა.

პოლონეთში ძინული დაგვიდნა

ქართველმა სპორტსმენებმა წარუმატებლად იასპარეზეს პოლონურ სლასკ ბედისკში გამართულ ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ფესტივალზე. იქ 6 ქართველი სპორტსმენი გამოდიოდა: სამთომოთხილამურეები – **ნატაშა გავა, ირაკლი კიკნაძე, ნინო წიკლაური, დიმიტრი გედევანიშვილი, გიორგი** და **ჯაბა გელაშვილები** და ბიათლონისტები – **ანჟელა ბანდური** და **მიხელ ავაკიანი**. ეს ექვსეული იმ ბირთვის შემადგენელი ნაწილია, რომლებსაც 2012 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე გამოსვლას უწინასწარმეტყველებენ, ამ ეტაპზე კი უფრო გამოცდილების მისაღებად წაიყვანეს და მათგან მედლებს არც ელოდნენ. სასწაული არც მომხდარა და სენსაცია არც ერთს არ შემოუთავაზებია. აი, გამოცდილება კი მართლაც მიიღეს, რაც, იმედია, სამომავლოდ გამოადგებათ.

ისევ წარუმატებლად...

სამწუხაროდ, საქართველოს 16-წლამდე კალათბურთელთა ნაკრებმა ანკარაშიც წარუმატებლად იასპარეზა და „ტურკ ტელეკომის“ ტურნირიც მოუგებლად დაასრულა. ქართველი ჭაბუკები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან და ამ მიზნით, დეკემბერში, ესპანურ ისკარაშიც იასპარეზეს საერთაშორისო ტურნირში. **გია კაზანჯიანის** შეგირდებმა იქაც ყველა თამაში წააგეს და მოგება ანკარაშიც ოცნებად ექცათ – ჩვენები ტურნირში ბოლო ადგილზე გავიდნენ.

ირაკლი თავაძე

აირჩიეთ, სად ისწავლით

თბილისის საერო უნივერსიტეტი „მეტეხი“

თბილისის საერო უნივერსიტეტი „მეტეხი“ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში. დაარსების პირველივე წლიდან მან ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა საგანმანათლებლო სივრცეში. უნივერსიტეტის დამფუძნებლების: უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ **მანონ ქირთბაიას** და სამართლის ფაკულტეტის დეკანის, **ეკა გოგორიშვილის** მიზანიც ეს გახლდათ – *„ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საქართველოში დაგვემკვიდრებინა საუკეთესო ევროპული საგანმანათლებლო კულტურა და შეგვექმნა თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების მქონე უმაღლესი განათლების კერა“.*

მსოფლიოში არსებული საგანმანათლებლო სტანდარტების და ბოლონიის პროცესის მოთხოვნათა გათვალისწინებით „მეტეხი“ სტუდენტებს სთავაზობს **საბაკალავრო, სამაგისტრო** და **სადოქტორო პროგრამებს** შემდეგ ფაკულტეტებზე:

- **სამართლის;**
- **ბიზნესისა და მართვის;**
- **ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა;**
- **ჯანდაცვის.**

თბილისის საერო უნივერსიტეტ „მეტეხის“ მიზანია, განათლება მისცეს და მოამზადოს ქართველი პროფესიონალების ნიჭიერი კადრები **სამართლის, ბიზნესის, სამედიცინო მომსახურების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა დარგებში**. მრავალდისციპლინური პროგრამების გამოყენებით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს ბაზრისათვის საჭირო განათლებითა და უნარებით საქართველოს საწარმოო და პროფესიულ სფეროებში წარმოქმნილი საჭიროებების შესაბამისად.

უნივერსიტეტს, სადაც მოღვაწეობს 85 პროფესორ-მასწავლებელი და სწავლობს 1065 სტუდენტი, კავშირები აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო კერებთან: ორადეას უნივერსიტეტი (რუმინეთი), ზაგრების ეკონომიკის სკოლა (ხორვატია) და განათლების ევროპული უნივერსიტეტი (მალტა). საერო უნივერსიტეტ „მეტეხსა“ და განათლების ევროპულ უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, „მეტეხში“ შეიქმნა სათანადო დეპარტამენტი – განათლების ევროპული უნივერსიტეტის საერთაშორისო ცენტრი.

„მეტეხი“ გთავაზობთ ორმაგი და ერთობლივი ხარისხის პროგრამებს შემდეგ საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან: **განათლების ევროპული ინსტიტუტი** (მალტა); **მენეჯმენტის საერთაშორისო ინსტიუტუტი** (CNAM) (პარიზი) და **სოფია ანტიპოლის უნივერსიტეტი** (საფრანგეთი).

ზალცბურგის გლობალური სემინარის მოწვეულ მრჩეველთა პროგრამის ფარგლებში, რომელიც დააფინანსა ნიუ-იორკის კარნეგის კორპორაციამ, უცხოელ ექსპერტთა მიერ განხორციელდა უნივერსიტეტის საქმიანობის შესწავლა. ზემოაღნიშნული პროგრამა აწარმოებს კონსულტაციებს უნივერსიტეტის რექტორებისა და ადმინისტრაციისათვის, რათა დახმარება გაუწიოს მათ თვითშეფასებისა და რეფორმების პროცესში. მოწვეულ მრჩეველთა ჯგუფის წევრების მოხსენებაში, სხვა მნიშვნელოვან მოსაზრებებსა თუ რეკომენდაციებთან ერთად, ყურადღება გამახვილდა სწავლების ხარისხზე. ჯგუფმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე და ბაზრის შესაფერისი სასწავლო პროგრამა, რომ სტუდენტები ირჩევენ საერო უნივერსიტეტ „მეტეხს“ განათლების ხარისხის გამო, რომელსაც აქვს შემდეგი მაჩვენებლები:

- **კარგი ინსტრუქტორები;**
- **პატარა ზომის კლასები;**
- **ინდივიდუალური ყურადღება სტუდენტების მიმართ;**
- **სათანადო და გამოყენებადი სასწავლო პროგრამა.**

უნივერსიტეტი აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში. სტუდენტთა ბიზნესგამოცდილების მიზნით, მონაწილეობს პროექტში – „დაუკავშირდით საქართველოს“, რითაც ხელს უწყობს ბიზნეს ჩვევების განვითარებას. მონაწილეობდა არაერთ საერთაშორისო ფორუმში:

- „აკადემიური თანამშრომლობის ქსელი“, „ცოდნისა და კვლევის ევროპული ჯგუფი ტურიზმის განვითარების სფეროში“ – ვარნა, ბულგარეთი, 2007 წელი;
- პრაქტიკული კონფერენცია „მალტა მზადაა თანამშრომლობისათვის“ – სანტა ჯულიანსი, მალტა, 2007 წელი;
- ლიდერთა ოქსფორდის სამიტი“ – ოქსფორდი, გაერთიანებული სამეფო, 2007 წელი;
- „ევროგანათლება 2007 “ – ბარსელონა, ესპანეთი, 2007 წელი;
- ლიდერთა ოქსფორდის სამიტი“ – ლიდერობა – თანამშრომლობა – ეკონომიკური წარმატება, ოქსფორდი, გაერთიანებული სამეფო, 2008 წელი;
- ევროპის რექტორთა კლუბის სესია – იალტა, უკრაინა, 2008 წელი;
- ჩრდილოეთის ქვეყნების მეხუთე შეხვედრა – რიგა, ლატვია, 2008 წელი;
- უნივერსიტეტთა საერთაშორისო ასოციაციის მეცამეტე კონფერენცია – უტრეხტი, ნიდერლანდები, 2008 წელი;
- შავი ზღვის რეგიონის რექტორთა კონფერენციის საგანგებო სესია მიძღვნილი შავი ზღვის უნივერსიტეტთა ასოციაციის 10 წლის იუბილესადმი – კონსტანცა, რუმინეთი, 2008 წელი;
- ბოლონიის პროცესის განვითარება – ვენა, ავსტრია, 2008 წელი.

საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება და საერთაშორისო საგანმანათლებლო ასპარეზზე აქტიური მონაწილეობა თბილისის საერო უნივერსიტეტ „მეტეხის“ უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. „მეტეხი“ თავის საგარეო ურთიერთობებში შემდეგ ძირითად პრიორიტეტებს გამოყოფს: ბილატერული სახის ურთიერთობანი პარტნიორ უნივერსიტეტებთან, თანამშრომლობა დონორ ორგანიზაციებთან, საერთაშორისო საუნივერსიტეტო ორგანიზაციებში გაწევრიანება და მათ პროგრამებსა თუ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის მიღება.

უნივერსიტეტის საერთაშორისო საქმიანობის მთავარი მიზანი სამ ძირითად ასპექტს მოიცავს:

- **სტუდენტებისა და ახალგაზრდა მკვლევარების გაცვლები;**
- **პროფესორთა გაცვლები;**
- **ერთობლივი სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროექტები.**

საგარეო ურთიერთობების უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ერთობლივი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, რასაც „მეტეხი“ წარმატებით ახორციელებს.

უნივერსიტეტი ასევე აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ფონდებთან, მაგალითად, „რომაულდო დელ ბიანკოს ფონდთან“ (იტალია). „მეტეხი“ ამ ფონდის წარმომადგენელია საქართველოში. ამავე დროს, „მეტეხი“ არის „შავი ზღვის ქვეყნების უნივერსიტეტების ასოციაციის“ წევრი.

უნივერსიტეტი წელს კიდევ უფრო გაფართოვდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დღითი დღე იზრდება მოთხოვნა ამ სასწავლებელზე, შესაბამისად, იზრდება სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან გადმოსული სტუდენტების რიცხვი. გარდა ამისა, გასულ წელს, უნივერსიტეტ „მეტეხს“ ბორჯომში დაემატა უმაღლესი პროფესიული სასწავლებელი, სადაც ეუფლებიან **ეკონომიკურ, ფარმაცევტულ** და **იურიდიულ** სპეციალობებს.

უნივერსიტეტი „მეტეხი“ წელს 100 სტუდენტს ელოდება.

სწავლის საფასური 1500 ლარიდან 4000 ლარამდეა, გარკვეული შეღავათები ვრცელდება სოციალურად დაუცველ და იძულებით გადაადგილებულ სტუდენტებზე.

აირჩიეთ უნივერსიტეტი „მეტეხი“, სადაც მიიღებთ თანამედროვე, ევროპულ უმაღლეს განათლებას, რაც საუკეთესო ინვესტიციაა თქვენი მომავლისათვის. უნივერსიტეტში მიღებული ცოდნით ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებთ საზოგადოებაში, ამის საწინდარი კი მიღწევებია, რომელიც სრულიად დამსახურებულად წარმოგვიდგენს თბილისის საერო უნივერსიტეტ „მეტეხს“ ახალგაზრდა ამბიციურ უნივერსიტეტად.

ჯანსაღი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტებია:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.